



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ია მჭედლიძე

საინვესტიციო გარემო საქართველოში: სიახლეები, მიღწევები და გამოწვევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

ფინანსების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნათია ჟოჟუაშვილი

ემდ, გორის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გორი

2019

ანოტაცია

ია მჭედლიძე

კარგი საინვესტიციო გარემო ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების სტიმულირებაზე ორიენტირებული სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს მეტი და ხარისხიანი ინვესტიციების მოზიდვას, უფრო პროდუქტიული და მაღალ შემოსავლიანი სამუშაო ადგილების შექმნას, რომელიც შესაბამისად, სიღარიბის დაძლევისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის შექმნა და ინვესტიციების წახალისება, როგორც საქართველოსთვის, ისე ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულ ამოცანად იქცა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგი მცირე და დაბალშემოსავლიანი განვითარებადი ქვეყნებისთვის.

კვლევის **საგანს** წარმოადგენს ქვეყნის საინვესტიციო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები, განხორციელებული უცხოური ინვესტიციების ანალიზი, განხილულია ინვესტიციების დაზღვევა, მიმდინარე და დასრულებული მაღალბიუჯეტისანი ინვესტიციების მქონე პროექტები.

კვლევის **ობიექტს** წარმოადგენს საინვესტიციო პროცესი, ინვესტიციების სახეები, მათი მნიშვნელობა, საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. განხორციელებული პროექტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

კვლევის **მიზანია** საინვესტიციო კლიმატის განხილვა-გაანალიზება, უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობის განსაზღვრა დღევანდელი საქართველოსთვის, პუი-ს შემცირების მიზეზების დადგენა.

კვლევის **მეცნიერულ სიახლეებში** ასახულია უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა-დინამიკა და გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. გაანალიზებულია საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად ქვეყანაში გატარებული ზოგადი და სპეციფიკური ღონისძიებები, გამოვლენილი იქნა ძირითადი პრობლემური საკითხები, განსახორციელებელი რეფორმების პრიორიტეტული მიმართულებები.

Annotation

I.Mtchedlidze

The investment environment in Georgia: news, achievements and challenges

Good Investment Weather is an essential component of a strategic oriented strategy for stimulating growth and development of the country that will provide more and high quality investments, create more productive and high-income jobs that are important to increase poverty and to increase public prosperity.

Creating a healthy investment climate and encouraging investments has become a priority for Georgia and the government of any country. It is especially important for small and low-income developing countries.

Master's thesis concerns the main subject trends and tendencies of the country's investment strategy, that are analyzed by foreign investments, investment insurance, current and finished high-budget investments.

The goal of the research is to consider and analyze investment climate, to define the importance of foreign investments for today's Georgia, the reasons for the reduction of FDI.

The scientific innovation of the research is reflected in the structure of foreign investment - (according to branches and sources) dynamics and influence on the Georgian economy. In the scope of investment policy review, it's have been analyzed general and specific measures implemented in the country to improve investment climate, the main problematic issues were identified priority directions to be implemented.

შინაარსი

შესავალი	4
თავი I. ინვესტიციების ეკონომიკური შინაარსი	
1.1 .ინვესტიციების კვლევის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	8
1.2 .პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ეკონომიკური განვითარების ურთიერთკავშირი. შეფასების მეთოდები -ეკლექტიკური პარადიგმა.....	12
თავი II. საინვესტიციო გარემოს მიმოხილვა საქართველოში	
2.1. საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები.....	25
2.2. საინვესტიციო გარემოს დღევანდელი მდგომარეობის შეფასება.....	27
თავი III. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყანაში	
3.1. ქვეყანაში მიმდინარე საინვესტიციო პროცესები.....	39
3.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საინვესტიციო პორტფელის მიმოხილვა და ანალიზი.....	40
3.3. საინვესტიციო ფონდების საქმიანობა საქართველოში; მაღალბიუჯეტური პროექტები.....	49
თავი IV. საინვესტიციო საქმიანობაში დანერგილი სიახლეები	
4.1. FDI- ჰუის გაანგარიშების მეთოდოლოგია და პრაქტიკა საქართველოში.....	56
4.2. საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის რისკი და ინვესტიციების დაზღვევა.....	62
4.3. 2019 წლის გამოწვევები საქართველოს საინვესტიციო სფეროში.....	66

დასკვნები და რეკომენდაციები

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

თემის აქტუალობა

ეკონომიკურ ლიტერატურაში საინვესტიციო გარემო განიხილება, როგორც ეკონომიკური და ინსტიტუციონალური გარემოს თვისებრიობა, რომელშიც ფიზიკური და იურიდიული პირები ვითარდებიან და აბანდებენ კაპიტალს. კვლევებით აღიარებულია, რომ კარგი საინვესტიციო კლიმატი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების სტიმულირებაზე ორიენტირებული სტრატეგიის არსებითი შემადგენელი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს მეტი და ხარისხიანი ინვესტიციების მოზიდვას, სიღარიბის დაძლევას და საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებას დასაქმების კუთხით.

საქართველო-თავისი მრავალსაუკუნოვანი მოღვაწეობითა და გეოგრაფიული მდებარეობით, მეტად ხელსაყრელი ქვეყანაა სხვადასხვა ეკონომიკური მიმართულებით. დიდი ხნის მანძილზე, ქვეყანაში ადგილობრივი თუ უცხოური საინვესტიციო პოლიტიკა ხორციელდება. ქვეყანამ რეეპუტაცია მოიპოვა, როგორც უპირატესმა კომერციულმა ცენტრმა ინოვაციური, დინამიური და სამეწარმეო საქმიანი კულტურით. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო გზების გადაკვეთაზე სტრატეგიული მდებარეობის გამო საქართველოს იდეალური პოზიცია უკავია აზიის და ახლო აღმოსავლეთის, ასევე ევროპისა და დსთ–ს ქვეყნების ბაზრებზე წვდომის თვალსაზრისით, რაც განაპირობებს უცხოური ინვესტიციების შემოძინებას და უცხოელების მეტად დაინტერესებას.

გარდა ამისა, ადგილობრივი დროის სარტყელი საშუალებას იძლევა საქართველო თანაბარი კომფორტით დაუკავშირდეს შორეული აღმოსავლეთის და დასავლეთ ნახევარსფეროს ბაზრებს. ამ უპირატესობის გამოყენების და მზარდი საერთაშორისო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ქვეყანა ავითარებს მსოფლიო კლასის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას.

საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ბოლო დროის განმავლობაში. ქვეყანა მბრძანებლური ეკონომიკური სისტემიდან გადავიდა საბაზრო ეკონომიკაზე.

დღეისათვის მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას. ეს კი შეუძლებელია კანონმდებლობის გარეშე.

საქართველოს საინვესტიციო კანონმდებლობა იხვეწება და ორიენტირებულია მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნაზე, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ დღემდე უამრავი ხარვეზით ხასიათდება. ბოლო წლებში მრავალი საკანონმდებლო ღონისძიებები ჩატარდა საზღვარგარეთიდან ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. ამ საქმის შესრულების კომპეტენცია 2002 წლიდან დაკისრებული ქონდა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან არსებულ, საქართველოს სახელმწიფო საინვესტიციო სააგენტოს. თუმცა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო 2017 წლის 2 ივლისს სრულად გაუქმდა.¹

საინვესტიციო სააგენტოს ფუნქციები, მისი გაუქმების შემდეგ, სახელმწიფო პროგრამამ "აწარმოე საქართველოში" შეითავსა. აპრილში მთავრობამ "აწარმოე საქართველოში"-ს განახლებული ბრენდი წარადგინა. განახლებული „აწარმოე საქართველოში“ რამდენიმე მიმართულებას აერთიანებს. სახელმწიფოს მიერ შექმილი ბრენდი - "Invest in Georgia" პროგრამა ინვესტორთათვის კონკრეტული პროექტების შემუშავებით დაკავდა. უწყების ფუნქციაა საქართველოს, როგორც საინვესტიციოდ მიმზიდველი ქვეყნის პოპულარიზაცია.

"აწარმოე საქართველოში"-ს განახლებული ბრენდი "Invest in Georgia" - ათ მოტივს ასახელებს, იმისათვის თუ რატომ უნდა მოხდეს ფულის დაბანდება საქართველოში : სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა, ლიბერალური და თვისუფალი საბაზრო

¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება №300 2017 წლის 22 ივნისი-საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ლიკვიდაციის შესახებ.

ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ 6 გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარება, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, დივერსიფიცირებული საინვესტიციო სექტორები, განათლებული კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა.

კვლევის საგანს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს მიმოხილვა, უცხოური ინვესტიციების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა თანამედროვე საქართველოს ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებაში, საინვესტიციო საქმიანობაში დანერგილი სიახლეების გაანალიზება.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს როგორც ადგილობრივი, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მათი როლი და შესაძლებლობები ქვეყნისთვის, საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორები.

კვლევის მიზანი და ამოცანებია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძლებლობებიდან გამომდინარე განვიხილოთ საინვესტიციო პროცესის განხორციელების ძირითადი ტენდენციები საქართველოში, დავადგინოთ ზოგადად ინვესტიციების, როლი და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. რეკომენდაცია გავუწიოთ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის გადასადგმელ მნიშვნელოვან ნაბიჯებს.

კვლევის ინფორმაციული ბაზა არის საინვესტიციო კანონმდებლობა, ეროვნული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა, პუბლიკაციები, საგაზეთო და ინტერნეტ სტატიები, აღნიშნულ საკითხზე სადისერტაციო ნაშრომები, სტატისტიკური მონაცემები.

კვლევის ბაზის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები სამაგისტრო ნაშრომში დასმული საკითხების კვლევის პროცესისათვის გამოყენებული იქნა ისეთი მეთოდები,

როგორცაა: ანალიზი, სინთეზი, დედუქცია, ინდუქცია, შესწავლილი პროდუქტების მოდელირება მათი აღწერის გზით, შედარება, დაპირისპირება.

კვლევის მეცნიერული სიახლე გამოიხატება იმაში, რომ შესწავლილია და გაანალიზებულია საინვესტიციო პროცესის განხორციელების ძირითადი ტენდენციები საქართველოში და დადგენილია ინვესტიციების მნიშვნელოვანი როლი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებაში. გამოვლენილია საინვესტიციო საქმიანობაში დასახული სიახლეები. დასახულია ამჟამად არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზები, იმისთვის, რომ შეიქმნას სასურველი გარემო ქვეყანაში ინვესტირებისთვის.

თავი I. ინვესტიციების ეკონომიკური შინაარსი

1.1 ინვესტიციების კვლევის თეორიულ - მეთოდოლოგიური საფუძვლები

ტერმინი ინვესტიცია (ინვესტირე - შემოსვა) ლათინური წარმოშობისაა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებში კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებას აღნიშნავს. შუა საუკუნეების ევროპაში „ინვესტიტურას“ უწოდებდნენ ზემდგომის მიერ თავისი ვასალისთვის მიწის ან რაიმე თანამდებობის გადაცემის ფაქტს, რომელიც შესაბამისი ცერემონიით სრულდებოდა. ძველ გერმანულ საზოგადოებაში უძრავი ქონების გადაცემას მისი ერთი მფლობელისგან მეორესთან სიმბოლურად აღნიშნავდნენ შესაბამისი თემატური ნივთის საჯაროდ გადაცემით (მაგ.: ერთი მუჭა მიწის სიმბოლური გადაცემით). X-XI საუკუნეებში საგნის საჯაროდ გადაცემამ ერთი პირიდან მეორეზე (როგორც წესი, იერარქიულად მასზე დაბლა მდგომ პირზე), ძალაუფლების, უფლებამოსილების ნაწილის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მიწის, შემოსავლისა და სხვა ძალაუფლებების გადაცემის რიტუალის სახე მიიღო. დროთა განმავლობაში, ტერმინმა „ინვესტიცია“ უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და მისი გამოყენება დაიწყო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. დღევანდელი გაგებით კი „ინვესტიცია“ მოგების მიღების მიზნით ფინანსური ან/და არაფინანსური აქტივების დაბანდებას აღნიშნავს. თუმცა, აღნიშნული ტერმინის მრავალგვარი განმარტება არსებობს, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციებისა, თუ მეცნიერების მიერაა შემოთავაზებული. საქართველოს კანონის „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ მე-3 მუხლის თანახმად, ინვესტიცია არის - „სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დარგის საწარმოში, საწარმო-საინვესტიციო პროგრამებსა და საწარმო-საინვესტიციო პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და წარმოების განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება“.

ინვესტიციები ხელს უწყობენ საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. სახელმწიფოს კრიზისის პირობებში ინვესტიციები წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარების გზაზე.

ნებისმიერი ინვესტირების, მთავარი მოქმედი პირი ინვესტორია. ინვესტორი არის პირი ან კომპანია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, ბიზნესის რომელ სფეროში რა სახის ინვესტირება განახორციელოს.

ინვესტორებს განსხვავებული შეხედულებები აქვს ბიზნეს სტრატეგიებზე და ამის გამო ინვესტირების მრავალი სახე არსებობს. ინვესტიციების ძირითადი სახეები:

- რეინვესტირება;
- პირდაპირი ინვესტიციები;
- რეალური ინვესტიციები (რეალური ინვესტიციების ქვეშ იგულისხმება დაბანდება უშუალოდ წარმოებაში, ანუ ძირითად კაპიტალში და საბრუნავ საშუალებებში);
- ფინანსური ინვესტიციები (ფინანსურ ინვესტიციებს მიეკუთვნება დაბანდება ფასიან ქაღალდებში, მიზნობრივი ფულადი ანგარიშები, კრედიტები და ა.შ.);
- ვენჩურული ინვესტიციები (ახალ ან მცირე საწარმოში ინვესტიცია, რომელიც ჩვეულებრივ აქციათა პაკეტის მნიშვნელოვანი წილის ინვესტორის საკუთრებაში გადასვლის სანაცვლოდ ხორციელდება. ვენჩურული კაპიტალის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია დიდი რისკი);
- გრძელვადიანი ინვესტიციები;
- მოკლევადიანი ინვესტიციები.

ინვესტიციები იყოფა ასევე ფორმების მიხედვითაც:

მატერიალური ინვესტიციები (მიწა, უძრავი ქონება, აღჭურვილობა-ტექნიკა)

- არამატერიალური ინვესტიციები (საავტორო უფლებები, ლიცენზიები)
- ფინანსური ინვესტიციები (ფასიანი ქაღალდები)

ინვესტიციები ასევე ხასიათდება ორი ურთიერთდაკავშირებული პარამეტრით ესენია- რისკი და მოგება. როგორც წესი რაც უფრო დიდია რისკი მით უფრო მაღალია მოსალოდნელი მოგებაც.

საკუთრების ფორმის მიხედვით, ინვესტიციები 4 კატეგორიად იყოფა:

ა) კერძო - ოჯახური მეურნეობების ან/და კერძო პირის მიერ განხორციელებული ინვესტიცია;

ბ) სახელმწიფო - ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებული ინვესტიცია, როგორადაც შეიძლება ჩაითვალოს მაგ. ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

გ) უცხოური - ქვეყნის გარედან შემოსული ინვესტიციების ნაირსახეობა, რომელიც, შესაძლებელია, განხორციელდეს როგორც უცხო ქვეყნის მთავრობების, ასევე მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მიერ.

დ) შერეული - კერძო, სახელმწიფო და უცხოური ინვესტიციების ერთობლიობა.

უცხოელ ინვესტორად ითვლება უცხოეთის სახელმწიფო მოქალაქე. აგრეთვე საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ. საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და შესრულებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო შესაბამის უწყებებთან ერთად.

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“²² პარლამენტის

2

²² „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს. ამ კანონის მიზანია, დაადგინოს ინვესტიციების ხელშეწყობი სამართლებრივი რეჟიმი.

დადგენილების მიხედვით, ინვესტორს უცხოელის სამუშაოზე მიღების უფლება აქვს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. უცხოელს, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოში, გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ აქვს მის მიერ მიღებული შემოსავლების საზღვარგარეთ დაუყოვნებლივი და შეუფერხებელი გადატანის უფლება. ასევე არ შეიძლება დაწესდეს საწარმოს ხელმძღვანელ ორგანოებში სავალდებულოდ ასარჩევ ან დასანიშნ საქართველოს მოქალაქეთა მინიმალური რიცხვი. ახალი საკანონმდებლო აქტი, რომელიც აუარესებს ამ კანონით დადგენილ ინვესტიციის პირობებს, მისი ძალაში შესვლიდან 10 წლის განმავლობაში არ ვრცელდება უკვე განხორციელებულ ინვესტიციაზე. ინვესტორების მოზიდვის კუთხით, რაც ჩემი აზრით დადებით მოვლენად აღიქმება.

საქართველოს კანონმდებლობაში უმნიშვნელოვანესია კანონი „**ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ**“.³ მოცემული კანონის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით, რომელიც ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებზე, დაბანდებულ და გამოყენებულ საქართველოს ტერიტორიაზე. ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს სააგენტო-„აწარმოე საქართველოში“, ზემოთხსენებული სახელმწიფო პროგრამა არის სახელმწიფოს წარმომადგენელი ინვესტორებთან ურთიერთობაში. სააგენტოს საქმიანობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. სახელმწიფო პროგრამა უწევს ინვესტორს მომსახურებას საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო ყველა ლიცენზიის, ნებართვის აღებაში, ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში.

³საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ-ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს. ამ კანონის მიზანია, დაადგინოს ინვესტიციების ხელშეწყობის სამართლებრივი რეჟიმი.<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304?publication=14>

1.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ეკონომიკური განვითარების ურთიერთკავშირი. შეფასების მეთოდები -ეკლექტიკური პარადიგმა

1950 წლამდე „საერთაშორისო პირდაპირი ინვესტიციები“ (international direct investment) მთლიანად აიხსნებოდა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის თეორიის მიხედვით. ისევე, როგორც ინვესტიციის ყველა სხვა ფორმა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც განიხილებოდა, როგორც გამოძახილი ქვეყნებს შორის უკუგების ნორმის განსხვავებულობაზე. ეს მოსაზრება გამყარებული იყო იმ დროის დაკვირვებებით, რომლის თანახმადაც, ამერიკელი ინვესტორები შემოსავლის უფრო მაღალ ნორმას არა ადგილობრივი ინვესტირებიდან, არამედ ევროპაში განხორციელებული ინვესტირებიდან იღებდნენ.

მეცნიერთა ერთი ნაწილის თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით სასარგებლოა განვითარებადი ქვეყნებისათვის, რადგანაც, საბოლოოდ, მათ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციით წარმოიქმნის საშუალებას აძლევს. მათი აზრით უცხოურ ფირმებს, ადგილობრივ ფირმებთან შედარებით, გარკვეული ნაკლოვანებები აუცილებლად ახასიათებთ (მაგ.: ადგილობრივი ბაზრის უკეთ ცოდნა ან/და კომუნიკაციის მეტი შესაძლებლობა), ამიტომ, მათ საკუთარი ორგანიზაციის უპირატესობები უნდა გამოამჟღავნონ. მათი აზრით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არა უბრალოდ საზღვარგარეთ თანხის გადაგზავნა, არამედ უფრო ფართო ცნებაა, რომელიც თავის თავში როგორც საკუთრების, ასევე, არამატერიალური რესურსების გადაადგილებას მოიცავს: ტექნოლოგიები, ახალი მიდგომები მენეჯმენტში, კვალიფიციური მუშახელი და ა.შ.

პირდაპირ ინვესტიციებს - მიეკუთვნება კაპიტალის დაბანდებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტორის კონტროლს საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებზე (კომპანიებზე). ისინი იძლევიან მართვაში საწარმოთა მონაწილეობის უფლებას. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს არეგულირებენ **საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე**. საერთაშორისო დონეზე მათი რეგულირების ძირითადი ფორმაა საერთაშორისო

საინვესტიციო შეთანხმებები. ისინი შეიძლება იყოს ორმხრივი ან მრავალმხრივი, რომელთა მონაწილეები არიან მთავრობები და ზოგჯერ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებიც. ყველაზე მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ორმხრივ შეთანხმებებს, რომელთა მთავარი ელემენტებია ორმხრივი თანამშრომლობის ფორმები და ინვესტიციების დაცვის მექანიზმები. ამ უკანასკნელს წამყვანი ადგილი უჭირავს შეთანხმებებში, რადგან სწორედ მასშია მოცემული სახსრების გადაგზავნის საშუალებები, არაკომერციული რისკების საწინააღმდეგო გარანტიები და შესაძლო უთანხმოებათა მოგვარების წესი.

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის რეგიონშიც, უცხოელი ინვესტორებისათვის არსებობს ინვესტიციების წახალისების სპეციალური სისტემები და საგადასახადო შეღავათები, რაც ამ ქვეყნებს მიმზიდველს ხდის ინვესტირებისათვის. საქართველოს მეზობელ და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში კი მოქმედებს შემდეგი შეღავათიანი რეჟიმები და ე.წ. საინვესტიციო სტიმულები:

პოლონეთი - პოლონეთში არსებობს 14 სპეციალური ეკონომიკური ზონა, სადაც მოქმედებს შემდეგი შეღავათები: ინვესტორი უფლებამოსილია შეამციროს საგადასახადო ბაზა განხორციელებული ინვესტიციის 50%-მდე, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოებისათვის აღნიშნული შეღავათი 65%-მდე იზრდება.

თურქეთი - თურქეთში მოქმედებს ინვესტიციების წახალისების გენერალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ შეღავათებს: 1) თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან; 2) თავისუფლდება დღგ-საგან ძირითადი საშუალებების იმპორტირებისას და ადგილობრივად შესყიდვისას; 3) ბიუჯეტიდან კრედიტის გამოყოფა. მოქმედებს თავისუფალი ეკონომიკური ზონები ტრაპზონის, სამსუნისა და რიზეს პორტებში.

სომხეთი - კომპანიები, სადაც უცხოური ინვესტიციები აღემატება 855.000 აშშ დოლარს სარგებლობენ შემდეგი შეღავათებით: ინვესტიციის განხორციელებიდან ორი წლის განმავლობაში კომპანია თავისუფლდება მოგების გადასახადიდან; ხოლო შემდეგი 2-7

წლის განმავლობაში (ინვესტიციის განხორციელების თარიღიდან გამომდინარე) იხდის მოგების გადასახადის 50%-ს. ყაზახეთი - უცხოელი ინვესტორებისათვის მოქმედებს შემდეგი საგადასახადო შეღავათები: 1) ქონების გადასახადიდან გათავისუფლება; 2) მიწის გადასახადიდან გათავისუფლება; 3) ინვესტორს უფლება აქვს შეამციროს საინვესტიციო პროექტის ფარგლებში შეძენილი მატერიალური აქტივების ღირებულება; 4) ძირითადი საშუალებების იმპორტირებისას საბაჟო გადასახადიდან განთავისუფლება (საბაჟე 2016: 12-13).

უზბეკეთი - მოგების გადასახადისაგან განთავისუფლება ხდება 7 წლით, იმ შემთხვევაში, თუ უცხოური ინვესტიციები ხორციელდება სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებულ პროექტებზე; ახალ შექმნილი საწარმოები გარდა (სავაჭრო, საშუამავლო და მომსახურების სფეროებისა), რეგისტრაციის პირველ წელს იხდის მოგების გადასახადის 25%-ს, მეორე წელს 50%-ს, მესამე წელს დადგენილი განაკვეთით. ასე- 36 ვე ამავე რეჟიმში არიან მოქცეული საწარმოები, რომლებიც იქმნება მაღალმთიან რეგიონებსა და სოფლებში; კომპანია მოგების გადასახადის 50%-იან შეღავათს ღებულობს, თუ მის მიერ წარმოებული საქონელ/მომსახურების არანაკლებ 30%-ის ექსპორტირება ხდება; ახლად შექმნილი საწარმოები თავისუფლდებიან ქონების გადასახადისაგან, რეგისტრაციიდან 2 წლის განმავლობაში; ასევე საწარმოსთვის ქონების გადასახადის 50%-ით შემცირება ხდება, თუ მის მიერ წარმოებული საქონელ/მომსახურების არანაკლებ 30% გადის ექსპორტზე .

საქართველო- ქვეყნის მიერ გადადგმულია შემდეგი ნაბიჯები საგადასახადო კუთხით:

- 1) გაუქმდა სოციალური გადასახადი და შეიქმნა ერთიანი „საშემოსავლო გადასახადი“ 25%-ის ოდენობით, რომელმაც ერთი წლის შემდგომ 20%-მდე დაიწია;
- 2) შემცირდა მოგების გადასახადი (20%-დან - 15%-მდე);
- 3) განახევრდა გადასახადის განაკვეთი დივიდენდებსა და პროცენტებზე 10%-დან 5%-მდე;
- 4) პროდუქციის 90%-ზე საიმპორტო ტარიფების რაოდენობა გაუქმდა და 16 სხვადასხვა სახის ტარიფიდან მხოლოდ 3 (0%; 5%; 12%) დარჩა;

5) პროდუქციათა უმრავლესობაზე საბაჟო გადასახადების მოხსნის შედეგად, ის მხოლოდ გარკვეული სახის სასოფლო სამეურნეო და სამშენებლო პროდუქციაზე შენარჩუნდა;

6) საქართველოში იმპორტსა და ექსპორტზე ქვოტები არ მოქმედებს. (წყარო: საქართველოს მთავრობა).

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეტერმინანტების და მულტინაციონალური კომპანიების მიერ განხორციელებული აქტივობების (პირდაპირი ინვესტიციების გავლენა მიმდებ ქვეყანაზე) შესასწავლად, ბევრი მეცნიერი ეკლექტიკურ (OLI⁴ - O - Ownership advantages; L - Location advantages; I - Internalization advantages) პარადიგმას იყენებს, რომელიც თავის მხრივ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა (პუი) და ეკონომიკური განვითარების ურთიერთკავშირის შესაფასებლად გამოიყენება. აღიშნული პარადიგმა გამოყენებული აქვს ვაიკატოს უნივერსიტეტის [დოქტორს კაროლინა კლარამუნტს თავის სადისერტაციო ნაშრომში](#). ამ პარადიგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია სხვა კონცეფციებიც, მაგალითად ქვეყნის საინვესტიციო განვითარების გზა (Investment Development Path (IDP)), რომელიც პირველად 1980-იანი წლების დასაწყისში დანიშნა წამოაყენა. ამ კონცეფციის განვითარებასა და სრულყოფაში დანიშნა ერთად სხვა ავტორებმაც შეიტანეს წვლილი (ნარულა, ლალი, დურანი, უბედა და სხვ). OLI პარადიგმის მიხედვით, ქვეყნის საინვესტიციო განვითარების გზა (IDP) სამი ფაქტორით არის განსაზღვრული:

მულტინაციონალური კომპანიების (მნკ) (Multinational Enterprises (MNE)) საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობებით (O - Ownership advantages), მასპინძელი და მშობლიური ქვეყნის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობებით (L - Location advantages) და მათი მიდრეკილებით, რომ აითვისონ ახალი ბაზარი (I - Internalization advantages). აქედან გამომდინარე, OLI პარადიგმის თეორიული

⁴ ერის საინვესტიციო განვითარების იდეა (Investment Development path, IDP) წარმოადგენს დინამიკურ მიდგომას, რომელიც თავდაპირველად ჯონ დანიშის მიერ იყო შემოთავაზებული. მოდელის თანახმად ქვეყნის IDP-ს ტრაექტორია წარმოდგენილია სამი ფაქტორით: საკუთრების სპეციფიური უპირატესობით (O), ადგილმდებარეობის სპეციფიური უპირატესობით (L) და მისი მიდრეკილებით მოახდინოს ბაზრის ინტერნალიზაცია (I) ფირმის სპეციფიური უპირატესობის რეალიზებისათვის საზღვარგარეთის ბაზრებზე.

და პრაქტიკული ანალიზი საინტერესოა პუი-ს გავლენის შესასწავლად მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, რადგან იგი ასახავს ურთიერთკავშირს საკუთრებას, ადგილმდებარეობასა და ინტერნალიზაციას შორის, როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ფირმების აქტივობების გათვალისწინებით (Claramunt, 2010) (Dunning & Narula, 1996).

საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები

საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები არის იმ დადებითი მხარეების ერთობლიობა, რომელთაც ექსკლუზიურად ფლობს მნკ. უმრავლესობა გარკვეული არამატერიალური აქტივების ფლობის შედეგად წარმოიქმნება. საკუთრების უფლება და არამატერიალური აქტივები საშუალებას აძლევს მნკ-ებს, რომ მიიღონ ეფექტიანობასთან დაკავშირებული უპირატესობები მრავალ ბაზარზე. სკოტ-კენელის მიხედვით საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები უცხო ქვეყანაში განხორციელებული ინვესტირების დროს, ძირითადად მომსახურების სექტორში გვხვდება. ფირმის საკუთრებასთან დაკავშირებულ აქტივებში მოიაზრება ადამიანური რესურსები, პატენტები და ექსკლუზიური ტექნიკური ცოდნა, საავტორო უფლებები თუ სავაჭრო მარკები ან სხვა არამატერიალური აქტივები, როგორცაა მმართველობის/მენეჯმენტის „ნოუ-ჰაუ“ ან ფირმის რეპუტაცია ემპირიული კვლევები ცხადყოფს, რომ საკუთრების უპირატესობასთან დაკავშირებულ პუი-ს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითი ეფექტის მოხდენა საკმაოდ მოკლე დროში შეუძლია. შვილობილ კომპანიაზე კაპიტალთან ერთად ძალიან დიდი გავლენა აქვს დარგის სპეციფიკასთან დაკავშირებულ ცოდნასა და ტექნოლოგიებს. ამ შემთხვევაში, ფირმებს პოტენციურად აქვთ წვდომა ისეთ რესურსებზე, როგორცაა ტექნოლოგია, ცოდნა და მენეჯერული უნარები, რომლებსაც მათი კონკურენტები მოკლე დროში ვერ მიზაძავენ. ხოლო ეს ყოველივე საშუალებას აძლევს მათ, მოიპოვონ ან შეინარჩუნონ მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა ადგილობრივ ბაზარზე . ემპირიული მონაცემების მიხედვით, როდესაც ადგილობრივი ფირმა შექმნილია მნკ-ს მიერ, დამატებითი კაპიტალის შემოსვლა გაცილებით უფრო ეფექტიანად აუმჯობესებს ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს. უცხოური კვლევების დიდი

ნაწილის მიხედვით (ჰუ და ჯეფერსონი, 2002, ალვარესი, 2003;) საშუალოდ, უცხოური ფილიალები უფრო მეტად პროდუქტიულები არიან, ვიდრე ადგილობრივი ფირმები. ბევრი ავტორის აზრით, უცხოური შვილობილი კომპანიები/ფილიალები ადგილობრივებზე მეტად არიან ექსპორტზე ორიენტირებულნი და კვალიფიციურ კადრებს უფრო აქტიურად იყენებენ.

ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები

ეკლექტური პარადიგმის მიხედვით, ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები განისაზღვრება ქვეყნის თავისებურებებიდან გამომდინარე და ყველა უცხო ქვეყნის ფირმისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია.

ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები მშობლიურ ქვეყანაში გავლენას ახდენს მნკ-ს საქმიანობაზე და საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობების განვითარებას უწყობს ხელს. ხშირად კამათობენ, რომ განვითარებად ქვეყნებში პუი ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი ბაზრის დარგობრივ განვითარებას. ასეთ ქვეყნებში პუი-ს ეკისრება ტექნოლოგიების გადაცემის როლი და ამავე დროს არ წარმოადგენს ყველაზე ეფექტიან საშუალებას დარგობრივი განვითარების ხელშესაწყობისთვის. მაგალითად, მნკ-ებმა შესაძლოა ისეთი ტექნოლოგიების გამოყენება არჩიონ, რომლებიც შეესაბამება მათ კონკრეტულ საჭიროებებს და მიზნებს. მნკ-ები თავის საინვესტიციო გადაწყვეტილებებს აკავშირებენ მათ საჭიროებებსა და ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ უპირატესობებს. მაშასადამე, პუი-ის როლი დარგობრივი ცვლილებებისთვის დამოკიდებულია ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ უპირატესობებზე და იმაზე, თუ როგორ განვითარდებიან ისინი დროთა განმავლობაში. ადგილმდებარეობის უპირატესობის განვითარების პროცესი განსაზღვრავს საკუთრების უპირატესობების ფორმირებას, რომლებიც დარგობრივ და ტექნოლოგიურ განვითარებას უკავშირდება. მაშასადამე, ზემოთხსენებულ შემთხვევაში, მასპინძელ ქვეყანაში შესაძლებელია არ გვექონდეს პუი-სგან გამოწვეული არსებითი და დარგობრივი ცვლილებები.

ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები მოიცავს ბუნებრივ რესურსებს (მიწას, ძირითად რესურსებს), მატერიალურ და შრომით ღირებულებას (მაგალითად, დაბალ შრომით ხარჯებს), ადგილობრივი ბაზრის მასშტაბებს და შექმნილ აქტივებს. ქვეყნის ადგილმდებარეობის უპირატესობებს კულტურული, პოლიტიკური და ბიზნეს გარემოც აყალიბებს. მოზიდული ინვესტიციის ტიპსა და დონეზე გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. მაგალითად, ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილებები, რომლებიც მოთხოვნიता და მიწოდებითაა განპირობებული, ხშირად ზრდის მომსახურების ბაზარს. მომსახურება თავისი ბუნებით ითხოვს, რომ ფირმებმა მომსახურების დაწესებულებები დააარსონ მასპინძელ ეკონომიკაში, განავრცონ ეროვნული მომსახურების ბაზარი მსოფლიოში, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს მთავარ პროგრესს ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ უპირატესობათა მხრივ, რომლებიც პუი-ს სტიმულირებას ახდენენ. ამ დასკვნის მიხედვით, ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული ცვლადი ფაქტორები უცხოურ და ადგილობრივ ფირმებს შორის კავშირების ჩამოყალიბებაში მთავარ როლს თამაშობს. კონკრეტულ ეკონომიკურ გარემოს შედეგად მოაქვს განვითარების კონკრეტული დონე და სტრუქტურა (პირველადი სექტორი, ცოდნა). შესაბამისად, ეკონომიკური გარემოს კომპონენტები შეიძლება ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ უპირატესობებს შევადაროთ და განვსაზღვროთ მასპინძელი ქვეყნის უნარი, აითვისოს ის აქტივები, რომლებიც პუი-ს ახლავს. ტექნოლოგიური განსხვავების ჰიპოთეზა განაპირობებს იმას, რომ შედეგები იზრდება ეტაპობრივად, ადგილობრივ და უცხოურ ფირმებს შორის ტექნოლოგიური განსხვავებების დონესთან ერთად. ამის მიუხედავად, ემპირიული მონაცემები არ ემხრობა ტექნოლოგიური განსხვავების ტრადიციულ, სწორხაზოვან ჰიპოთეზას. მაგალითად, ზოგიერთი თეორიის მიხედვით, პუი უფრო პროდუქტიულია, როდესაც მცირეა განსხვავება უცხოურ და ადგილობრივ ეკონომიკას შორის.

ბევრი მეცნიერის აზრით ადგილობრივ ფირმებს ადგილობრივი ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება სჭირდებათ, რათა შეძლონ სარგებელის მიღება და დარგთან დაკავშირებული ცოდნის ათვისება მნკ-ებისგან. ზემოხსენებულის თანახმად,

განვითარებულ ქვეყნებს ადამიანური რესურსების უფრო მაღალი დონე უნდა ჰქონდეთ და შესაბამისად, პუი-სგან უფრო მეტ სარგებელსაც უნდა იღებდნენ, ვიდრე განვითარებადი ქვეყნები.

სხვადასხვა მეცნიერის მიხედვით ადგილობრივი ფირმების დაბალი კომპეტენცია ტექნოლოგიური ტრანსფერის ღირებულებას და ინტერნალიზაციის სარგებელს ზრდის, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურ გავლენას ახდენს უცხოურ ფილიალებსა და ადგილობრივ ფირმებს შორის კავშირების ჩამოყალიბებაზე. ტექნოლოგიისა და მასალა/ნედლეულის ხელმიუწვდომლობა მიიჩნევა მთავარ ფაქტორებად, რომლებიც აფერხებენ უფრო დიდ კავშირების დამყარებას. გარდა ამისა, გარკვეული ფაქტორები, ზღუდავენ ადგილობრივი ფირმების მომწოდებლის რანგში ფუნქციონირებას. მათ მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, დროულად მიწოდების ცუდი პრაქტიკა, ხარისხის კონტროლის ნაკლებობა და შესაბამისი უნარ-ჩვევების ნაკლებობა ადგილობრივი მომწოდებლებისთვის მთავარი პრობლემებია.

უცხოური ფილიალები ამყარებენ თუ არა კავშირებს ადგილობრივ კომპანიებთან, ეს დამოკიდებულია ამ უკანასკნელთა მიერ უცხოური ფირმების საჭიროებების ეფექტიანად დაკმაყოფილების უნარზე მასპინძელი ქვეყნის შესაძლებლობებთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რომ ინსტიტუტების ხარისხი შესაძლოა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავდეს პუი-ს საქმიანობას, განვითარებად ქვეყნებში. მათი დაბალი ხარისხი იწვევს ბიზნესის საქმიანობის ხარჯების მატებას და ამიტომაც შესაძლოა, პუი-ს აქტივობა შეამციროს. უცხოელი მეცნიერები განიხილავენ პუი-ს მიმღები ქვეყნების ათვისების უნარს და აცხადებენ, რომ პუი-ის პოზიტიური შედეგები იმ ქვეყნებში უფრო მძლავრია, რომელთაც ინსტიტუციური შესაძლებლობების გაცილებით მაღალი დონე აქვთ.

ეკონომიკური სისტემები (S) - ნიშნავს მაკროორგანიზაციულ მექანიზმს, რომლის ფარგლებშიც ქვეყნის რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყოფა-გადანაწილება ხდება. ქვეყნის ეკონომიკური სისტემა განაპირობებს მის სურვილს, ჩაერთოს საერთაშორისო ვაჭრობაში და მნიშვნელობა არა აქვს, მისი რესურსები და შესაძლებლობები მთავრობის მიერაა გამოყოფილი, ბაზრის მიერ თუ ამ ორის კომბინაციაა.

მეცნიერების ნაწილის აზრით, განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში, მაშინ, როცა პუი მამოძრავებელი ძალაა OL-EO ქვეყნებში, მასზე განსაკუთრებული დატვირთვა და გავლენა არ ხდება IL-IS ქვეყნებში. ამ თვალსაზრისის მიხედვით, პუი-ის გავლენა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და სავაჭრო პოლიტიკამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს პუი-ს როლზე ეკონომიკურ განვითარებაში.

მთავრობის პოლიტიკა (P) - ქვეყნის ეკონომიკური სისტემა შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს მაშინ, როდესაც სამთავრობო პოლიტიკა შეიცვლება. ეს ნიშნავს, რომ სამთავრობო პოლიტიკა, სავარაუდოდ, ამ პარადიგმის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია პუი-ზე მისი გავლენის თვალსაზრისით. მთავრობის პოლიტიკა მოიცავს მთავრობის სტრატეგიულ მიზნებსა და მის მიერ მიღებულ მაკრო (ფისკალური, მონეტარული და სავალუტო პოლიტიკა) და მიკრო (დარგობრივი, სავაჭრო, საინვესტიციო და კონკურენციის პოლიტიკა) ზომებს. ეს გავლენას ახდენს მნკ-ების საქმიანობაზე მასპინძელ ეკონომიკაში, ისევე როგორც ამ ქვეყნის ეკონომიკურ გარემოზე. მაგალითად, განსხვავებული სამთავრობო პოლიტიკის მეშვეობით, მთავრობებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, როგორცაა ვიწრო სპეციალობაზე ორიენტირებული ცოდნის (განათლება და სასწავლო პოლიტიკა) ხელმისაწვდომობა და ხარისხი; ინოვაციის დონე და მოდელი (საპატენტო და სავაჭრო მარკის კანონმდებლობა); მათი საკუთარი კვლევების და განვითარების პროგრამა; ზრდა, მასშტაბი და განსხვავებები ფირმებს შორის (კონკურენციის პოლიტიკა) და დარგობრივი კლიმატი, რომელშიც ფირმები ფუნქციონირებენ. ე.ი ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობები ან თავს იჩენს ეკონომიკაში ან დიდად არ არის დამოკიდებული სამთავრობო პოლიტიკაზე.

დანინგის და ნარულას⁵ კვლევების მიხედვით, მთავრობის როლი მინიმუმამდე კი არ უნდა იყოს დაყვანილი, მისი გამოყენება ფრთხილად უნდა მოხდეს. ამისათვის დანინგს

5

⁵ Dunning, J. The eclectic paradigm as an envelope for economic and business theories of MNE activity, *International Business Review* 9 (2000) 163-190
Narula, R. (1996). *Multinational investment and economic structure: Globalisation and competitiveness*. London: Routledge

მოყვანილი ჰყავს ლათინური ამერიკის მაგალითი, რომელთა მთავარი მიზანი ბოლო ოცი-ოცდახუთი წლის განმავლობაში ადგილობრივი ბაზრის დარგობრივი განვითარების მხარდაჭერის ნაცვლად, იმ პოლიტიკათა მხარდაჭერა გახდა, რომლებიც ბაზრის როლის გაზრდას ემხრობიან. ყველაზე დიდი ცვლილება სახელმწიფო საკუთრების შემცირება და შესაბამისად, აქტივების პრივატიზაცია იყო.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობანი - და თავის მხრივ, ფორმირებულია ქვეყნების მთავრობების მიერ და განსაზღვრავს ინვესტიციის ბუნებასა და გავლენას, თუ რამდენად ახერხებენ ადგილობრივი ფირმები საკუთარ კომპეტენციათა ამალებას და გარე ინვესტიციების განხორციელებას .

ინტერნალიზაცია

ინტერნალიზაცია ხსნის ბაზარზე შესვლის მოტივაციას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფორმით. იგი გვიჩვენებს სხვაობას ბაზარზე შესვლის ალტერნატიულ ფორმებსა და პუი-ს შორის, რაც ძირითადად ხარჯების ეკონომიით ან/და დარგის სპეციფიკურობით არის განპირობებული .

საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები არ ნიშნავს უნიკალური აქტივის ფლობას, რომელიც ფირმას უპირატესობას ანიჭებს. ის არის აქტივის ათვისების პროცესი, რადგანაც უპირისპირდება მის მიყიდვას უცხოელი მწარმოებლისთვის, რომელიც მნკ-ს განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს. ამ თვალსაზრისის მთავარი აზრი ისაა, რომ ინტერნალიზაციის უპირატესობა მოიცავს ფირმის ჩამოყალიბების და განვითარების ძირითად მიდგომებს და ეტაპებს . ეკლექტური პარადიგმა ინტერნალიზაციის თეორიისგან იმით განსხვავდება, რომ ეკლექტური პარადიგმა აღიარებს, რომ მნკ-ების საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები ფირმის საქმიანობის შედეგია, რომლებიც იმ დროისთვის ენდოგენური იყო ფირმისთვის. ასე რომ, ფირმის აქტივები მხოლოდ კონკურენციის ზღვარს არ ადგენს, არამედ, შესაძლებლობას, რომ ამ უპირატესობებათა სხვა რესურსებთან შერწყმის სარგებელი დადგინდეს და საერთაშორისო ბაზრებზე მყარი ეკონომიკა და გარიგების დაბალი ღირებულება იქნას

მიღწეული . თუ კომპანია აცნობიერებს, რომ მეტ სარგებელს მიიღებს საკუთრებასთან დაკავშირებულ უპირატესობებზე ღირებულების დამატებით, ვიდრე მათი გამოყენების უფლების გადაცემით სხვა ფორმებისთვის, მაშინ ეს ინტერნალიზაციის (I) დადებითი მხარეა.

ინტერნალიზაციის დადებითი მხარეა ფირმის დაცვა წარუმატებლობისას. ამ თეორიის მიხედვით, საქმიანობაში არსებული პრობლემების დროს, მნკ ირჩევს მისი უპირატესობების ინტერნალიზაციას . რაც უფრო მეტ საკუთრებასთან დაკავშირებულ უპირატესობას ფლობს უცხოური ფირმა პოტენციურ მიმღებ ქვეყანაში, ბაზარი მით უფრო არასრულყოფილია და აქედან გამომდინარე, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ მნკ მასპინძელ ქვეყანაში ინვესტირებას პუი-ის ფორმით მოახდენს .

როდესაც ბაზარს არ ძალუძს გარიგებების ოპტიმალურად ორგანიზება ადგილი აქვს საბაზრო ჩავარდნებს. ისინი თავს იჩენს მაშინ, როცა კონკრეტული საქონლისა თუ მომსახურების გარიგებას მოჰყვება სარგებელი, რომელიც ამ გარიგებასთან არაა კავშირში და არ აისახება იმ პირობებზე, რომლებზეც მხარეები არიან შეთანხმებულნი. ასეთი შემთხვევა, შესაძლოა, განპირობებული იყოს არასრულყოფილი ინფორმაციით, ან გაუგებრობით, რომლებიც წარმოიქმნება პოლიტიკური რისკით, შესაბამისი ცოდნის ნაკლებობით, ან სხვა სირთულეებით, რამაც შესაძლოა თავი იჩინოს აქტივისა თუ გარიგების შეფასების დროს .

თავი II. საინვესტიციო გარემოს მიმოხილვა საქართველოში.

2.1. საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაზე მოქმედი ფაქტორები

საინვესტიციო გარემო სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაა, რომლის ფორმირებაც ხორციელდება მიკრო და მაკრო ეკონომიკაზე საკმაო რაოდენობით ურთიერთდაკავშირებული პროცესების გავლენის საფუძველზე და იწვევს მდგრადი საინვესტიციო მოტივაციის წარმოქმნას.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედი მაჩვენებლებია: მაკორეკონომიკური პარამეტრები, ფინანსური მდგომარეობა, კერძო საკუთრება, ვალები და მათი მომსახურება, საგადასახადო რეჟიმი, პოლიტიკური რისკები, ფორსმაჟორული სიტუაციების შექმნის საშიშროება და გეოპოლიტიკური მდებარეობა.

საინვესტიციო გარემოს შექმნა თავისთავად გულისხმობს თანმიმდევრული ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავებას და სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმის ამოქმედებას, მისაღები საგადასახადო რეჟიმისა და საკანონმდებლო სისტემის არსებობას, ადმინისტრაციული ბარიერებისა და შეზღუდვების შემცირებას, სამართლიანი კონკურენციის პირობების და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შექმნას.

აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ფაქტორთა შორის ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ერთადერთია, რომელზედაც სახელმწიფო გავლენას ვერ მოახდენს, რომელიც ყალიბდება გეოგრაფიული და მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ზეგავლენით, მაგრამ ხელისუფლებას შეუძლია შესაბამისი პირობების შექმნა რათა უცხოელმა ინვესტორმა ყველა პოტენციური ვარიანტიდან მოცემული ქვეყანა აირჩიოს კაპიტალდაბანდების განსახორციელებლად. საინვესტიციო გარემო გულისხმობს ქვეყანაში რეალურად არსებულ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ გრძელვადიანი დაბანდებისათვის უცხოური კაპიტალის სულ უფრო მზარდი ოდენობით ინტენსიურ მოზიდვას ან განრიდებას (თავშეკავებას). ე.ი. კონკრეტული

ვითარებიდან გამომდინარე, საინვესტიციო გარემო შეიძლება იყოს როგორც ხელსაყრელი (ხელშემწყობი) ისე არახელსაყრელი (ხელშემშლელი), რომელსაც კონკრეტული ნაბიჯების გადადგამდე ყველა ინვესტორი ითვალისწინებს. ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს საფუძვლიანი გაანალიზება და რისკფაქტორების გათვალისწინება ყველა ინვესტორის პირველადი ამოცანაა.

ამ მხრივ საქართველოში დღეისათვის არსებული ვითარება ერთმნიშვნელოვნად არასახარბიელოა. საქართველოში, საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების აუცილებელ ღონისძიებათა შემუშავების თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ფულადსაკრედიტო პოლიტიკის შერბილება. ზედმეტად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ამუხრუჭებს საინვესტიციო აქტივობას. ინვესტიციური გარემო თანამედროვე პირობებში, საქართველოში სხვადასხვა მიზეზის გამო, ერთმნიშვნელოვნად ძნელი შესაფასებელია. როგორც წესი, უცხელი ინვესტორები პოზიტიურად აფასებენ ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებას, საერთოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და დამუშავებაში მზად არიან დააბანდონ მნიშვნელოვანი თანხები.

საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას ხელს უწყობს საინვესტიციო ფონდების, სატრასტო და სალიზინგო კომპანიების ქსელის შექმნა. ამისათვის, პირველ რიგში, საკანონმდებლო ბაზაა მოსამზადებელი. საინვესტიციო გარემო საქართველოში უცხოელი ინვესტორების ფართოდ მოზიდვის თვალსაზრისით არახელსაყრელია. ეს განპირობებულია პოლიტიკური არასტაბილურობით, ეკონომიკური კრიზისით, და სხვა პირობებით.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განხორციელდა. აღნიშნული რეფორმები მიმართული იყო მიმზიდველი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებისკენ, რაც, ჩემი აზრით, უცხოური ინვესტიციების შემოდინების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკის ყველა დარგში სამეწარმეო

აქტივობის ზრდისა და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საფუძველს წარმოადგენს.

2.2 საინვესტიციო გარემოს დღევანდელი მდგომარეობის შეფასება

საინვესტიციო გარემო (კლიმატი) - როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ - სამართლებრივი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, გეოპოლიტიკურ-ეკოლოგიური და სხვა ურთიერთობების ფართო სისტემას. იგი ფორმირდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესების და მოვლენების ზეგავლენით მართვის მაკრო, მეზო და მიკროდონეზე და ხელს უწყობს (ან ხელს უშლის) მყარი ინვესტიციური მოტივების წარმოშობას.

საინვესტიციო გარემოს შეფასება ემყარება შემდეგ მაჩვენებელთა სისტემის ანალიზს: მშპ-ის, ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების დინამიკა; ეროვნული შემოსავლის განაწილების დინამიკა და ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში დაგროვებისა და მოხმარების თანაფარდობა;

ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. მაკროეკონომიკური მდგომარეობა (მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი, ინფლაცია, ვალუტის გაცვლითი კურსი);
2. ექსპორტზე ორიენტაციის დონე (წარმოებული პროდუქციის წილი, რომელიც მიდის ექსპორტში);
3. სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები;

სახელმწიფოსა და მთავრობის ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემოს შექმნა. დღეისათვის ეკონომისტთა უმრავლესობა ერთნაირად განმარტავს საინვესტიციო გარემოს შინაარსს, მაგრამ მისი სტრუქტურისა და შეფასების მეთოდის დაკონკრეტებისას მათი შეხედულებები არსებითად განსხვავებულია.

საინვესტიციო გარემოს შეფასების დამახასიათებელი მიდგომები.

არსებობს საინვესტიციო გარემოს შეფასების ვიწრო და ფართო გაგება

პირველი - ვიწრო გაგებით იგი ეყრდნობა შემდეგი მაჩვენებლების შეფასებას: მთლიანი შიდა პროდუქტის, ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობათა დინამიკას; ეროვნული შემოსავლის განაწილების, დაგროვებისა და მოხმარების პროპორციების დინამიკას; საპრივატიზაციო პროცესების მიმდინარეობას; საინვესტიციო საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირების მდგომარეობას; ცალკეული ინვესტიციის ბაზრის (მათ შორის, საფონდო და ფულის) განვითარების დონეს;

მეორე - ფართო გაგებით იგი ეყრდნობა საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ფაქტორთა კომპლექსის შეფასებას. მათ შორისაა: ეკონომიკური პოტენციალის დახასიათება (რეგიონის უზრუნველყოფა რესურსებით, ბიოკლიმატური პოტენციალი, თავისუფალი მიწების არსებობა საწარმოო ინვესტირებისათვის, ენერგო და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის დონე, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალისა და ინფრასტრუქტურის განვითარების დონე და ა.შ.) მეურნეობის ზოგადი პირობები (ეკოლოგიური უსაფრთხოების, მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების დარგების განვითარების დონე, დაუმთავრებელი მშენებლობების მოცულობა, ძირითადი საწარმოო კაპიტალის ცვეთის ხარისხი და ა.შ.);

რეგიონის საბაზრო გარემო (საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, პრივატიზაციის გავლენა საინვესტიციო აქტიურობაზე, ინფლაცია და მისი ზეგავლენა საინვესტიციო საქმიანობაზე, საინვესტიციო პროცესებში მოსახლეობის ჩარულობის დონე, მეწარმეობის კონკრეტული გარემოს განვითარება, გასაღების ადგილობრივი ბაზრის ტევადობა, მეურნეობათაშორისო კავშირების ინტენსივობა, საექსპორტო შესაძლებლობები, საზღვარგარეთული კაპიტალის არსებობა);

პოლიტიკური ფაქტორები (რეგიონის ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობის ხარისხი, ფედერალური ცენტრისა და რეგიონული ხელისუფლების

ურთიერთდამოკიდებულება, სოციალური სტაბილურობის დონე, ეროვნულ-რელიგიურ ურთიერთობათა მდგომარეობა);

სოციალური ფაქტორები (მოსახლეობის ცხოვრების დონე, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, სამედიცინო მომსახურების განვითარება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის გავრცელება, დანაშაულებათა დონე, რეალური ხელფასის სიდიდე, მიგრაციის გავლენა საინვესტიციო პროცესზე, მოსახლეობის დამოკიდებულება ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების მიმართ, საზღვარგარეთელი სპეციალისტებისთვის მუშაობის პირობები);

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფაქტორები (ხელისუფლების დამოკიდებულება საზღვარგარეთელი ინვესტორებისადმი, ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონმდებლობის დაცვა, ოპერატიულობის დონე საწარმოების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ადგილობრივი ადმინისტრაციის პროფესიონალიზმის დონე, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობა, საქონლის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის გადაადგილების პირობები, ადგილობრივ მეწარმეთა საქმიანი თვისებები და ეთიკა);

ფინანსური ფაქტორები (ბიუჯეტის შემოსავლები, არასაბიუჯეტო ფონდების სახსრებით უზრუნველყოფა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ფედერალური და რეგიონული ბიუჯეტებიდან ფინანსური რესურსების მიღების ხელმისაწვდომობა, უცხოური ვალუტით კრედიტის მიღების ხელმისაწვდომობა, საბანკო პროცენტის დონე, ბანკთაშორისი თანამშრომლობის განვითარება, საბანკო კრედიტები მოსახლეობისათვის სულზე, წამგებიან საწარმოთა ხვედრითი წონა).

ქვეყნის ეკონომიკის ზრდა და განვითარება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი ადგილი ინვესტიციების ზრდას უკავია. ინვესტიცია (საქონლისა და მომსახურების წარმოებაში კაპიტალის ჩადება) შეიძლება იყოს შიდა ან საგარეო (უცხოური). ორივე შემთხვევაში ინვესტიციას დანაზოგები ქმნის.

საქართველოში დანაზოგების დონე მაღალი არ არის, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არა აქვს ისეთი შემოსავალი, რომ ფული დაზოგოს. ეს გარემოება კიდევ უფრო აუცილებელს ხდის უცხოური დანაზოგების, იმავე ინვესტიციების საქართველოში მოზიდვას. ამასთან ერთად, უცხოური ინვესტიციები უცხოური ვალუტით შემოდის და ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობას უწყობს ხელს. ხშირ შემთხვევაში უცხოურ ინვესტიციას ცოდნა, გამოცდილება, ტექნოლოგიები და ცნობადობა მოჰყვება.

დღესდღეობით ბევრი ქვეყანა ეჯიბრება ერთმანეთს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. შეჯიბრი ინვესტირებისთვის ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შეთავაზებაში გამოიხატება. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, არსებულ საკანონმდებლო ბაზასთან ერთად, საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობაც უწყობს ხელს (იგი უძველესი „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი საკვანძო პუნქტია). მსოფლიო ბაზრების დამაკავშირებელი საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო და მილსადენი მარშრუტები საქართველოში წარმოებული ბიზნესისათვის სატრანსპორტო ხარჯების შემცირებისა და ფართო საერთაშორისო კავშირების განვითარების წინაპირობაა. საქართველოს ენერგეტიკაში უცხოელთა საქმიანობით დასტურდება, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში უცხოური კაპიტალის ინვესტირება, უპირატესად, პირდაპირი კერძო ინვესტიციების, სამეწარმეო კაპიტალის ფორმით ხორციელდება. ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში შემოდის არა მარტო უცხოური კაპიტალი, არამედ უცხოელი მეწარმეც, ინვესტორი, რომელიც თვითონ აბანდებს ამ კაპიტალს საქართველოში და თვითონ ხდება შექმნილი საწარმოო ობიექტების მესაკუთრეც. აშკარაა, უცხოელი ინვესტორები იმიტომ იწყებენ საქართველოში საქმიანობას, რომ მიიღონ მოგება, დაიკავონ ბაზარი, იქონიონ აქ მუდმივი და სტაბილური შემოსავლების წყარო. ინვესტიციებს იზიდავს: სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, დაბალი გადასახადები და რეგულაციები, იაფი ან კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, ბუნებრივი რესურსები, სტრატეგიული მდებარეობა, თავისუფალი ვაჭრობა, კორუფციისგან თავისუფლება და სხვა.

ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა (სტატისტიკა)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) მიჩნეულია ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მთავარ ფაქტორად. დღევანდელი მეთოდოლოგიით (რომელსაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც იყენებს) პირდაპირ ინვესტიციად შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიცია, თუ მისი წილი საწარმოს კაპიტალში 10%-ზე მეტია. საწარმოს საკონტროლო პაკეტის ფლობა აუცილებელი არ არის. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციად ითვლება სესხებიც, თუ ვალდებულებით საწარმოს აქტივები იტვირთება. ძირითადად, პირდაპირი ინვესტიცია ახალი ბიზნესის დაწყებას ან არსებულის გაფართოებას უკავშირდება, რაც პროდუქციის წარმოებისა და დასაქმების ზრდას იწვევს. ეკონომიკის ზრდა კი სწორედ პროდუქციის წარმოების ზრდას ნიშნავს.

ქვეყნის შიდა ბიზნესგარემოს გარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ეკონომიკური მდგომარეობაა მსოფლიოში, ინვესტიციების განმახორციელებელ ქვეყნებში. მაგალითად, 2007 წლამდე მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სწრაფად იზრდებოდა და 2007 წელს 3 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. 2009 წლის მსოფლიო კრიზისის დროს 56%-ით შემცირდა. 2010-2011 წლებში იზრდებოდა, მაგრამ 2012 წლიდან მცირედი შემცირების ტენდენცია აქვს.

2007 წელს მსოფლიო ინვესტიციების ტრენდს საქართველოც არ ჩამორჩა და ქვეყანაში ინვესტიციების რეკორდული მოცულობა - 2 მილიარდი დოლარი შემოვიდა. რუსეთთან ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო, 2008 წლის ბოლოდან ინვესტიციებმა იკლო და 2009 წელს 658 მლნ დოლარამდე შემცირდა. 2010 წლიდან ინვესტიციებს ზრდის ტენდენცია აქვს და 2008-2017 წლების მაქსიმალურ მაჩვენებელს - 1.8 მილიარდ დოლარს - 2014 წელს მიაღწია. 2014 წლიდან ინვესტიციების ზრდა მნიშვნელოვნად უკავშირდება ბუნებრივი აირის ახალი მილსადენის „შაჰდენიზ 2“-ის მშენებლობას, რომლის ფარგლებში საქართველოში მილიარდ დოლარზე მეტი პუი შემოვიდა.

ცალკე, ნომინალურ რიცხვებში გამოხატული ინვესტიციების მოცულობა არაფერს გვეუბნება იმაზე, ბევრია, თუ ცოტა. მაგალითად, საქართველოსთვის 3 მილიარდი

დოლარის ინვესტიცია ბევრია, აშშ-სთვის კი - თითქმის არაფერი. ამიტომ, ინვესტიციების მოცულობა ქვეყნის ეკონომიკის, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიმართ უნდა ვნახოთ. 2007 წელი ამ მხრივად ყველაზე წარმატებული იყო. ინვესტიციებმა მშპ-ის 19.8% შეადგინა. ბოლო 10 წელიწადში ამ მხრივ ყველაზე ცუდი მაჩვენებელი 2012-2013 წლებში გვექონდა, როდესაც ინვესტიციებმა მშპ-ის 5.8% შეადგინა. 2014 წლიდან ინვესტიციები მშპ-ის მიმართაც იზრდება და წინასწარი მონაცემებით, ყველაზე მაღალ ნიშნულს - 11.4%-ს 2016 წელს მიაღწია. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, ლარის გაუფასურების გამო, 2016-2017 წლებში დოლარში გამოსახული მშპ შემცირდა და ამან ხელი შეუწყო ინვესტიციებთან ფარდობის ზრდას.

საქართველოში შემოსული პუი-ების სტატისტიკა 1997 წლიდან მოიპოვება, საიდანაც ირკვევა, რომ ბოლო 20 წელიწადში (1998-2017 წლებში) საქართველოში სულ 16.5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა - წელიწადში საშუალოდ 823 მლნ დოლარი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში (მლნ.აშშ

დოლარი)

წელი	I	II	III	IV	სულ
2006	145.2	318.0	332.4	375.5	1 171.2
2007	330.8	366.5	468.9	586.4	1 752.6
2008	539.5	605.4	134.9	290.0	1 569.7
2009	113.3	177.1	179.0	194.8	664.2
2010	176.1	211.4	236.4	221.2	845.1
2011	222.5	270.9	306.8	329.6	1 129.9
2012	295.5	246.8	219.5	261.2	1 022.9
2013	290.3	216.4	265.8	248.0	1 020.5
2014	326.6	209.7	740.5	540.9	1 817.7
2015	335.0	483.0	515.9	331.7	1 665.6
2016	378.8	411.5	491.7	283.7	1 565.8
2017	393.6	355.8	622.8	522.2	1 894.5
2018*	300.1	390.4	344.7	197.1	1 232.4
2019*	281.1				281.1

წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2019 წლის I კვარტალში 281.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2018 წლის I კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 6.3 პროცენტით ნაკლებია. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში.


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2013-2019 I კვ.

მილიონი აშშ დოლარი

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018*	2019*
სულ	1 020.5	1 817.7	1 665.6	1 565.8	1 894.5	1 232.4	281.1
I კვ	290.3	326.6	335.0	378.8	393.6	300.1	281.1
II კვ	216.4	209.7	483.0	411.5	355.8	390.4	
III კვ	265.8	740.5	515.9	491.7	622.8	344.7	
IV კვ	248.0	540.9	331.7	283.7	522.2	197.1	
*წინასწარი მონაცემები წყარო : www.geostat.ge							

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2019 წლის 1-ელ კვარტალში 281.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2018 წლის 1-ლი კვარტლის წინასწარ მონაცემებზე 6.3 პროცენტით ნაკლებია.

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები 2019 წლის I კვარტალში, წინასწარი მონაცემებით, მილიონი აშშ დოლარი



„საქსტატის“ ცნობით, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ირლანდიიდან ქვეყანაში 133.2 მლნ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, მაშინ როცა 2017 წელს ინვესტიციის მოცულობა 0 დოლარი; ხოლო 2018 წლის პერიოდში მხოლოდ 0.5 მლნ დოლარი; 2018 წლის 1-ელ კვარტალში კი ასევე 0 დოლარი იყო.

ინვესტიციების მოცულობით, ირლანდიას მოსდევს გაერთიანებული სამეფო - 42.4 მლნ დოლარით; მე-3 ადგილზე კი ამერიკის შეერთებული შტატებია - 22.5 მლნ დოლარით. ჩამონათვალში მე-4 და მე-5 პოზიციებს - იაპონია და პანამა, შესაბამისად, 18.2 მლნ დოლარითა და 16.7 მლნ დოლარით ინაწილებენ. ჩამონათვალში მოხვდნენ ასევე: აზერბაიჯანი, რუსეთი და დანია.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2017-2019 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)**

2017

2018


2019

	2017				სულ	2018				სულ	2019
	I	II	III	IV		I	II	III	IV		
სულ	393.6	355.8	622.8	522.2	1 894.5	300.1	390.4	344.7	197.1	1 232.4	281.1
მათ შორის:											
სხვა კომუნალური, პერსონალური და სოციალური მომსახურება	3.0	7.0	7.5	7.2	24.7	11.4	11.8	11.9	5.2	40.2	139.8
საფინანსო სექტორი	76.3	2.0	71.5	152.9	302.6	111.1	64.3	18.3	84.2	277.9	42.7
ტრანსპორტი	116.0	118.3	164.7	73.7	472.6	66.4	65.2	64.8	13.5	209.9	28.6
სასტუმროები და რესტორნები	7.1	25.1	29.7	10.3	72.2	25.4	-5.5	36.2	16.2	72.3	25.4
დამამუშავებელი მრეწველობა	13.0	18.3	43.9	23.4	98.6	40.8	24.2	56.7	20.6	142.3	21.0
კავშირგაბმულობა	11.1	-2.7	7.7	0.8	17.0	-65.7	13.4	9.5	7.6	-35.2	10.2
სამთომშპოვებითი მრეწველობა	12.0	14.1	13.2	12.5	51.8	22.3	17.7	14.4	12.3	66.7	8.4
მშენებლობა	54.4	66.8	117.1	44.9	283.1	69.2	29.4	6.5	-1.4	103.6	8.3
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	0.5	4.0	4.8	3.0	12.4	-0.7	6.9	4.8	4.9	15.9	3.4
ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება	0.1	0.8	1.8	4.6	7.2	8.5	1.6	1.3	1.8	13.2	0.8
დანარჩენი სექტორები	100.1	102.3	160.8	189.1	552.3	11.5	161.4	120.4	32.4	325.6	-7.6

წყარო : წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

www.geostat.ge

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმსხვილესი ეკონომიკის
 სექტორების მიხედვით 2019 წლის I კვარტალში, წინასწარი
 მონაცემებით



წყარო : წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

www.geostat.ge

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2019 წლის I კვარტალში 75.1 პროცენტი შეადგინა.

2019 წლის მონაცემებით, სექტორების მხრივ ლიდერობს კომუნალური, პერსონალური და სოციალური მომსახურების სექტორი. მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო სექტორი 42.7 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ტრანსპორტის სექტორი 28.6 მლნ. აშშ დოლარით.

რაც შეეხება 2018 წელს წინა წელთან შედარებით, კლება ყველაზე მკვეთრი ტრანსპორტის სექტორშია, სადაც ინვესტიციები 262.7 მლნ აშშ დოლარითაა შემცირებული.

ნაკლები ინვესტიციები შემოვიდა ასევე მშენებლობის (179.5 მლნ აშშ დოლარით ნაკლები), უძრავი ქონების (92.2 მილიონით ნაკლები), ენერჯეტიკის (66.9 მილიონით ნაკლები), საფინანსო (24.7 მილიონით ნაკლები). დარგობრივ დანაწილება, აქ ყველაზე მეტი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სფეროში შევიდა (22,5%), მას მოსდევს ტურიზმის (17%), ენერჯეტიკის (12,8%), დამამუშავებელი მრეწველობისა (11,5%) და მშენებლობის (8,4%) სექტორები.

საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას ასევე ამცირებს ის, რომ ქვეყანა ღარიბია ბუნებრივი რესურსებით. თუმცა, ამავე დროს, ინვესტიციებს იზიდავს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა.

კიდევ ერთი გარემოება, რაც საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობაზე უარყოფითად მოქმედებს, არის განათლების დაბალი დონე, რაც კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტში აისახება. არაკვალიფიციური სამუშაო ძალა კი იმდენი არ არის, რომ ხელით შრომაზე დამოკიდებულ სექტორებში მრავალმილიონიან აზიის ქვეყნებს ვაჯობოთ. ამას ემატება ინგლისური ენის არცოდნა. საქართველოს საინვესტიციო უპირატესობას სძენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმი (განსაკუთრებით, ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ) და უცხოური კაპიტალის გადაადგილებაზე კონტროლის არარსებობა. ასევე, საკმაოდ ლიბერალური სავიზო რეჟიმი (90-მდე ქვეყნის მოქალაქეს უვიზოდ შემოსვლა შეუძლია).

თავი III. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყანაში

3.1 ქვეყანაში მიმდინარე საინვესტიციო პროცესები

თანამედროვე მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) უდიდეს როლს თამაშობენ ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში. პუი ასოცირდება ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების, დარგთან დაკავშირებული ცოდნის, ინოვაციების, მმართველობითი უნარების და სხვა აქტივების შემოდინებასთან. თუმცა, მრავალი კვლევა მოწმობს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა არ არის ცალსახად პოზიტიური მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, რომლებსაც, პუი-სგან სარგებლის შთანთქმის განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყისი პერიოდი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით საკმაოდ რთული იყო საქართველოსთვის. დამაბული პოლიტიკური გარემო, კრიმინალური ვითარება, დაკარგული ტერიტორიები, სამოქალაქო ომები, ეკონომიკური კავშირების დაკარგვა, ჰიპერინფლაცია და სხვა მრავალი ფაქტორი, ქვეყანას პუი-სთვის არამომზიდველს ხდიდა. ბოლო 23 წლის განმავლობაში განხორციელებულმა რეფორმებმა საგრძნობლად დააჩქარა ქვეყნის გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესი, რამაც საქართველო, ერთი შეხედვით, ინვესტირებისათვის პერსპექტიულ ქვეყნად აქცია. ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა 2014 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელისმოწერამ, რომელიც ითვალისწინებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბოლო წლების მანძილზე გამოქვეყნებულ ანგარიშებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დღესის მონაცემებით, ზოგიერთი ადგილობრივი თუ უცხოელი ინვესტორი საქართველოს ინვესტირებისთვის მიმზიდველ ქვეყანად ასახელებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის დაწინაურება სხვადასხვა რეიტინგებში ძირითადად ბიუროკრატიული ბარიერების

შემსუბუქებამ და საკანონმდებლო ცვლილებებმა განაპირობა. თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება გადახდისუნარიობასთან, სასამართლო დავებთან და საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები. წლების მანძილზე შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება, (თუ არ ჩავთვლით ქვეყანაში მიმდინარე მძიმე გარე თუ შიდა პოლიტიკურ ვითარებებს), თუმცა მათ ვერ უზრუნველყვეს ქვეყანაში ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, როგორებიცაა დასაქმების მაჩვენებლის და საექსპორტო პოტენციალის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელება და სხვა.

3.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საინვესტიციო პორტფელის მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით (შემდგომში საქსტატი), უცხოური ინვესტიციები იყოფა სამ ძირითად ნაწილად: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, პორტფელური ინვესტიციები და სხვა ინვესტიციები. საქართველოში მისი გაანგარიშება 1997 წლიდან ხორციელდება. საქსტატის განსაზღვრების მიხედვით - „FDI“⁶, საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას.“

საქსტატში, 2007 წლამდე მონაცემები მუშავდებოდა მხოლოდ ქვეყნების ჭრილში, 2007 წლიდან შესაძლებელი გახდა საწარმოები დაყოფილიყო საქმიანობის სფეროების მიხედვით, ხოლო 2009 წლიდან ხელმისაწვდომია ინფორმაცია რეგიონების შესახებაც.

საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში ადგილმდებარეობითა⁶

⁶FDI- საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას.

და იაფი მუშახელით გამოირჩეოდა. შესაბამისად, საქართველოში ინვესტიციები თითქმის მთლიანად რეგიონული მნიშვნელობის გაზსადენებსა თუ მილსადენებში ხორციელდებოდა, რის შედეგადაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა მაქსიმალურად გამოიყენეს საქართველოს ადგილმდებარეობის უპირატესობა. მომდევნო ეტაპზე, უცხოურმა კომპანიებმა საქართველოში საკუთრების უპირატესობის გამოყენებაც შეძლეს, ზემო ორი უპირატესობის მოპოვების გზით კი მათ ინტერნალიზაციის უპირატესობის მოპოვებაც შეძლეს რამაც, თავის მხრივ, სხვადასხვა დარგებში, უფრო მსხვილი ინვესტიციების მოზიდვა განაპირობა.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაქსიმალური რაოდენობა 2007 წელს დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ ამავე წელს იყო მსოფლიოს საინვესტიციო ნაკადების ყველაზე დიდი მაჩვენებელი. 2008 წლიდან 2013 წლის ჩათვლით შესამჩნევია პუი-ს აშკარა ვარდნა. ხოლო 2014 წლიდან დღემდე კვლავ იზრდება.

2018 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ მშპ-ს 7.6 პროცენტი შეადგინა. პირველ კვარტალში ეს მაჩვენებელი 8.2 პროცენტის ტოლია, მეორე კვარტალში 9.4 პროცენტი, ხოლო მესამე კვარტალში 8.2 პროცენტი, ხოლო მეოთხე კვარტალში - მშპ-ს . მეოთხე კვარტალში ყველაზე დიდი მოცულობით ინვესტიციები განხორციელდა საფინანსო სფეროში - 42.7 პროცენტი, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში - 10.7 პროცენტი და დამამუშავებელ მრეწველობაში - 10.4 პროცენტი. ხოლო 2018 წელს მთლიანად ინვესტიციები დიდი მოცულობით განხორციელდა საფინანსო სექტორში - 22.5 პროცენტი, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში - 14.2 პროცენტი და ენერგეტიკაში - 12.8 პროცენტი. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაჯანსაღება, რაც სტაბილურად მთლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტის გარშემოა. 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია ინვესტიციები, რის ძირითად მიზეზსაც წარმოადგენს მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულების ფაზა, რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში და არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება. 2018 წლის მესამე კვარტალში პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების მოცულობამ 345 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მთლიან შიდა პროდუქტთან 8.2 პროცენტია. მეოთხე კვარტალში კი პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 197 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, 2018 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1,232 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ბოლო პერიოდში განხორციელებულ ინვესტიციებზე ნაკლებია.

წელი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018*
სულ	1 022.9	1 020.5	1 817.7	1 665.6	1 565.8	1 894.5	1 232.4
I კვ	295.5	290.3	326.6	335.0	378.8	393.6	300.1
II კვ	246.8	216.4	209.7	483.0	411.5	355.8	390.4
III კვ	219.5	265.8	740.5	515.9	491.7	622.8	344.7
IV კვ	261.2	248.0	540.9	331.7	283.7	522.2	197.1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი 2017 წლის განმავლობაში ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 25.8 პროცენტი შეადგინა, საფინანსო სექტორში - 16.0 პროცენტი, მშენებლობაში - 14.9 პროცენტი, ენერგეტიკაში - 11.8 პროცენტი, უძრავ ქონებაში - 9.6 პროცენტი, დამამუშავებელ მრეწველობაში - 5.2 პროცენტი, სასტუმროებსა და რესტორნებში - 3.8 პროცენტი, ხოლო სამთომოპოვებით მრეწველობაში - 2.7 პროცენტი.

აღსანიშნავია FDI-დივერსიფიკაციის ზრდა ახალ სექტორებში ინვესტირებით. მაგალითად, 2015 წელს დაფიქსირდა ჯანმრთელობის დაცვაში განხორციელებული ინვესტიციების მკვეთრი ზრდა წინა წლებთან შედარებით. 2016 წელს კი 2015 წელთან შედარებით გაზრდილია ინვესტიცია კავშირგაბმულობის სექტორში, სადაც განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 3.8 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება 2017 წელს, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ინვესტიციები საფინანსო და სამშენებლო სექტორში. საფინანსო სექტორში ინვესტიციებმა

მთლიანი FDI-ის 16.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო სამშენებლო სექტორში განხორციელებული ინვესტიციები FDI-ის 14.9 პროცენტი იყო. იგივე ტენდენცია გამოიკვეთა 2018 წლის დასაწყისშიც, თუმცა მეორე კვარტალში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინვესტიციები ენერჯეტიკის სექტორში, რამაც ამ პერიოდში მთლიანი FDI-ის 28.0 პროცენტი შეადგინა, 2018 წლის პირველ სამ კვარტალში განხორციელებული ინვესტიციების 19.7 პროცენტი საფინანსო სექტორში განხორციელდა, 17.3 პროცენტი - ტრანსპორტის სექტორში, ხოლო 15.4 პროცენტი - ენერჯეტიკის სექტორში.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისმიხედვით) 2019 წლის I კვარტალში 75.1 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია კომუნალური, პერსონალური და სოციალური მომსახურების სექტორში განხორციელდა და 139.8 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 49.7 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო სექტორი 42.7 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ტრანსპორტის სექტორი 28.6 მლნ. აშშ დოლარით.

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების სამეულში 2018 წლისთვის პირველ ადგილზე კვლავ აზერბაიჯანია 19.5 პროცენტით, მეორე ადგილზე - გაერთიანებული სამეფო 16.5 პროცენტით, ხოლო მესამე ადგილი ნიდერლანდებს უკავია და განხორციელებულმა ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 13.6 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული ინვესტიციები 2017 წელთან შედარებით 40.5 პროცენტიდან 46.2 პროცენტამდე არის გაზრდილი.

ხოლო, უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების სამეულში 2019 წლისთვის პირველ ადგილზე ირლანდიაა 47,4 %-ით, მეორე ადგილზე გაერთიანებული სამეფო 15,1 %-ით, ხოლო მესამე ადგილი აშშ-ს უკავია 8.0 %-ით.

მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელს რეინვესტირებაში დაფიქსირდა უმაღლესი მაჩვენებელი და შეადგინა FDI-ის 32 პროცენტი, ხოლო 2017 წელს 43.9%, რაც აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და გაუმჯობესებული ბიზნეს გარემო დადებითად აღიქმება ინვესტორების მიერ და მეტი ინვესტორი აგრძელებს ბიზნეს გეგმებს

საქართველოში. მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკა და რეფორმები რეინვესტირების მაღალი დონის შენარჩუნებისა და საშუალო და გრძელვადიანი პერიოდის ზრდის წინაპირობაა. რეინვესტირების მზარდი ტემპი მოგების გადასახადის რეფორმას, ე.წ. ესტონური მოდელის შემოღებას უკავშირდება, რომელიც გულისხმობს, რომ რეინვესტირებული მოგება არ იბეგრება.

ფულადი გზავნილები

საქართველოში 2019 წლის აპრილში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 137.1 მლნ აშშ დოლარი (369.4 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 10.1 პროცენტით (12.6 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2018 წლის აპრილის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 93.7 პროცენტი იმ 17 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ აპრილში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 17 ქვეყანაზე გასული წლის აპრილში მთელი ფულადი გზავნილების 93.5 პროცენტი მოდიოდა.

საკრედიტო რეიტინგები

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან „Standard & Poor’s“⁷, „Fitch“⁸ და „Moody’s“⁹.

2017 წლის სექტემბერში Moody’s-მა გააუმჯობესა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი Ba3-დან Ba2-მდე. სარეიტინგო კომპანიის მიერ რეიტინგის გაუმჯობესება და რეიტინგის სტაბილური პერსპექტივა განპირობებულია საქართველოს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნებით 2014 წლის შემდგომ რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური შოკების ფონზე, რაც ეკონომიკის მოწყვლადობის შემცირებასა და ინსტიტუციური გარემოს გაძლიერებაზე მიანიშნებს.

⁷ Standard & Poor’s- გლობალური ბიზნეს სარეიტინგო კომპანია, რომელიც 150 წელია 28 ქვეყანაში უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ბაზრის დაზვერვას, კვლევას და ლიდერობას საკრედიტო რეიტინგებში.

⁸ Fitch ლიდერი სარეიტინგო კომპანია ფინანსური ინფორმაციის სერვისებში, რომელიც 30-ზე მეტ ქვეყანაში ატარებს სარეიტინგო ქმედებებს.


⁹ Moody’s საფინანსო საკრედიტო სარეიტინგო კომპანია 29 ოფისით მსოფლიოს გარშემო.

2018 წლის აგვისტოში სარეიტინგო კომპანია „Fitch“-მა დაადასტურა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის პერსპექტივის გააუმჯობესება სტაბილურიდან პოზიტიურის მიმართულებით, რაც კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს მიმართ საერთაშორისო ინსტიტუტების და ინვესტორების ნდობას და პოზიტიურად აისახება ქვეყნის ბიზნეს გარემოზე. სარეიტინგო კომპანიის პოზიტიური შეფასება განპირობებულია ხელსაყრელი ბიზნეს და მმართველობითი გარემოს უზრუნველყოფით და მაკროეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნებით რეგიონში არსებული შოკების მიმართ. აღსანიშნავია, რომ რეგიონის ქვეყნებში საკრედიტო რეიტინგების გაუარესების ფონზე, ჩვენი ქვეყანა ინარჩუნებს სტაბილურ რეიტინგს „Standard & Poor’s“ შეფასებით “BB-” დონეზე.

უმუშევრობის დონე

2019 წლის I კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.8 პროცენტი შეადგინა.

უმუშევრობის დონე საქართველოში კვარტალების მიხედვით, %



2019 წლის I კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 63.8 პროცენტი შეადგინა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოსახლეობის აქტიურობის დონე უცვლელი დარჩა, ხოლო დასაქმების დონე გაზრდილია 0.8 პროცენტული პუნქტით. ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 2.0 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 1.1 პროცენტული პუნქტით. აქტიურობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში გაიზარდა 0.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 1.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

სიღარიბის მაჩვენებლები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი შემცირდა. კერძოდ, საქსტატის 2018 წლის მონაცემებით, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მიღმა ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სტატისტიკა ასე გამოიყურება: ქალაქი -18,0 %; სოფელი – 23,1 %; საქართველო – 20,1 %. 2017 წელს აღნიშნული მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით 21,9% იყო, ქალაქში 18,6 %, სოფლად კი 26,6%. მედიანური (ანუ საშუალო) მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი კი ასეთია: საქართველო 20,5%, ქალაქი 17.2%, სოფელი 25,4%.

სიღარიბის ზღვარი მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, ღირებულების შესაბამისად განისაზღვრება. საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, საქსტატმა დანერგა კვლევის შერჩევის ახალი დიზაინი და შერჩევის ჩარჩოდ პირველად გამოიყენა 2014 წლის აღწერის მონაცემები.¹⁰

პოლიტიკის გამოწვევა - უნარების განვითარება მაღალშემოსავლიან სფეროებში

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით

შედარებით მიმზიდველი ბიზნეს კლიმატის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა კვლავაც ნაკლებად დივერსიფიცირებულია, მისი ექსპორტი რამდენიმე პროდუქტზეა

კონცენტრირებული და მშპ-ის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (FDI), საქართველოსთვის კაპიტალის მნიშვნელოვანი წყაროა, დაბალი შიდა ინვესტიციებისა და შეზღუდული დანაზოგების გამო, რაც 2005 წლიდან 2018 წლამდე თითქმის სამჯერ გაიზარდა. თუმცა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად არსებულ შრომა-ინტენსიურ საქმიანობაზე მოდის, ვიდრე ეკონომიკის უფრო კომპლექსურ და შემოსავლიან სფეროებზე, როგორცაა მაგალითად წარმოება .

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით დაბრკოლებას წარმოადგენს კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, რომელთაც საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა უშვებს. შეზღუდული ცოდნისა და მომზადების მქონე მუშახელი რჩება დაბალი პროდუქტიულობის სფეროებში, როგორცაა სოფლის მეურნეობა, რაც იწვევს კვალიფიციური და მცოდნე კადრების ნაკლებობას წარმოებასა და სხვა საქმიანობებში, რომლებშიც პროდუქტის კომპლექსურობა უფრო დიდია. ასევე დივერსიფიცირების დანერგვა დაკავშირებულია შედარებით მეტ ლოგისტიკურ ხარჯთან და იმპორტის კუთხით დოკუმენტურ შესაბამისობასთან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ბევრი რამ გააკეთა მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შესაქმნელად, ის მაინც ჩამორჩება კვლევების ხელშეწყობისა და განვითარების, ასევე მუშახელის გადამზადების და ინოვაციების პოპულარიზაციის კუთხით. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2018 წლის ანგარიშში, საქართველომ 140 ქვეყანას შორის 66-ე ადგილი დაიკავა განათლების სისტემის ხარისხის მიხედვით და 85-ე ადგილი ინოვაციების შესაძლებლობების კუთხით. შეუსაბამო განათლების მქონე მუშახელი წარმოადგენს ბიზნესის კეთების ძირითად შეზღუდვას. მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა მუშახელის უნარების კუთხით არსებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

2018 წელს მთავრობამ შეიმუშავა ახალი და ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც მოიცავს განათლების ყველა დონეზე სწავლის ხარისხის გაზრდას. ამის გარდა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ არაერთი რეფორმა

¹⁰ მონაცემები გადამოწმებულია 30.05.2019-ში

განახორციელა, რომელიც მიზნად ისახავს საერთო და პროფესიული განათლების ინტეგრირებას ასოცირებული ხარისხის პროგრამების შექმნისა და პროფესიული მომზადების ხელშეწყობის მიზნით. სამინისტრომ შეიმუშავა სამუშაო ადგილზე სწავლების მოდელი, კერძოდ ჩატარებულ სასერთიფიკატო პროგრამებს სთავაზობს სახელმწიფო აკრედიტაციას. პროგრამა სახელწოდებით "ციფრული საზოგადოება" აფასებს შრომის ბაზარზე არსებულ ტენდენციებს და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ანალიზისა და ცვლილებების შეთავაზების უნარს. ასევე, მთავრობა მუშაობს სამუშაო ადგილზე, კერძოდ უსაფრთხოების სტანდარტების შემუშავებაზე ისეთი ინსტიტუტებისთვის, რომლებიც სთავაზობენ ტექნიკურ და პროფესიული განათლებასა და ტრენინგებს, ასევე სურს განახორციელოს ტექნიკური კოლეჯების მართვის აუთსორსინგი. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიზანია მუშახელის უნარ ჩვევების განვითარება საინფორმაციო, კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების პოპულარიზაციის და მეცნიერებაში, ტექნოლოგიებში, ინჟინერიაში და მათემატიკაში ტრენინგების შეთავაზების გზით. იგი ხელს უწყობს ინოვაციური პროდუქტების განვითარებას, შემოქმედებითი პროექტების საწყისი დაფინანსებით, უნივერსიტეტებსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობას კვლევისა და განვითარების მიმართულებით.

3.3 საინვესტიციო ფონდების საქმიანობა საქართველოში; მაღალბიუჯეტის პროექტები

აწარმოე საქართველოში და თანაინვესტირების ფონდი

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი პირველი სახელწიფო უწყებაა საქართველოში, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა. დინამიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, სააგენტო აერთიანებს სამ კომპონენტს, ეკონომიკური განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ შრეს: ბიზნესს (ადგილობრივ წარმოებას), ექსპორტს და ინვესტიციებს.

პროგრამა „აწარმოე საქართველოში¹¹“ ხორციელდება 3 სახელმწიფო სააგენტოს მიერ: სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

„აწარმოე საქართველოში – ბიზნესის“ მიმართულების მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმის მხარდაჭერა, ახალი საწარმოების/სასტუმროების შექმნისა და არსებული საწარმოს/სასტუმროს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა.

„აწარმოე საქართველოში – ექსპორტის“ მიმართულების მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

„აწარმოე საქართველოში - ინვესტიციის“ მიმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მედიატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“¹² და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტის ფარგლებში, 2019 წლის მონაცემებით, მხარდაჭერილია 82 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა 232 მლნ. ლარზე მეტს შეადგენს. აღნიშნული სასტუმროები 2500-ზე მეტ დამატებით ოთახს და 2400-ზე მეტ სამუშაო ადგილს შექმნის.

¹¹ „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ-დადგენილება №3652014 წლის 30 მაისი ქ.თბილისი

2019 წლის მარტის თვის მონაცემებით, „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, სულ 2014 წლიდან მხარდაჭერილია 453 პროექტი (მოიცავს ინდუსტრიულ, სოფლის, სასტუმროს და ქონების მიმართულებებს), რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა 1 მილიარდ ლარზე მეტია, საიდანაც კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა ჯამში 587 მლნ ლარზე მეტია. აღნიშნული პროექტებით სულ შეიქმნება 16 950-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი.

საქართველოს თანაინვესტირების ფონდი განიხილავს ისეთ საინვესტიციო მიმართულებებს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ეკონომიკის ზრდასა და განვითარებას. კერძოდ, კი ფონდის სტრატეგიული მიმართულებებია: სოფლის მეურნეობისა და ლოჯისტიკის, ტურიზმისა და უძრავი ქონების, ენერჯეტიკის, ინფრასტრუქტურისა და მრეწველობის სექტორები.

აწარმოე საქართველოს და თანაინვესტირების ფონდის მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტები:

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტის თაობაზე, 2015 წლიდან მიმდინარეობს. მის მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტებია:¹¹

„**შუხმან როიალ ისთეით**“ -პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 4 500 000 ლარს შეადგენს და თავდაპირველად 15 ადამიანი დასაქმდება. დღესდღეობით „შუხმან ვაინს ჯორჯიას“ ბალანსზე 20 ნომრიანი სასტუმროა, რომელიც 2008 წლიდან ფუნქციონირებს.....

თავისუფლების მოედანთან მარიოტის საერთაშორისო ქსელის უმაღლესი კლასის ბრენდის AUTOGRAPH COLLECTION სასტუმროს მშენებლობა 2018 წელს დასრულდა. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა \$100 მლნ ამერიკულ დოლარს შეადგენს.

სასტუმროში ფუნქციონირებს 6 კატეგორიის 220 ნომერი, 2 სხვადასხვა ფორმის საკონფერენციო დარბაზი და სხვადასხვა ფორმატის შეხვედრების ოთახები, A კლასის საოფისე და კომერციული ფართები, სპა, ფიტნეს ცენტრი და “ინფინიტი” საცურაო აუზი. სასტუმრო თავისუფლების მოედანთან საბაგრო გზით დაუკავშირდება სასტუმრო სოლოლაკს.

თაბორის ქედზე მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები მასშტაბური რეკრეაციული ზონის მოსაწყობად. ეს იყო \$60 მლნ ამერიკული დოლარის საინვესტიციო ღირებულების პროექტი, რომელიც დასრულდა 2018 წელს . იგი გულისხმობდა 400 000 კვ.მ რეკრეაციული სივრცის შექმნას, რაც არის “ახალი ფილტვები” დედაქალაქისთვის. თაბორის პროექტის ფარგლებში მთლიანი ტერიტორიის მხოლოდ 2%-ზე განთავსდა სასტუმრო და გოლფის კლუბი.

ერეკლე II-ს მოედანზე დაგეგმილია ორი 5*-იანი სასტუმროს მშენებლობა. ერეკლე II-ს N3-ში უკვე განთავსდა 46 ნომრიანი სასტუმრო. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა \$10 მლნ ამერიკულ დოლარს შეადგენს და იგი დასრულდა 2018 წელს . ამავე მოედანზე, კოტე აფხაზის ქ. N22-ში განთავსდება 5* სასტუმრო 150 ნომრით. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა \$60 მლნ ამერიკული დოლარია და იგი 2019 წელს გაიხსნება.

ფონდი გურიის რეგიონში, სოფელ შეკვეთილში 5* სასტუმროს და სპა კომპლექსის პროექტს ახორციელებს. მისი ჯამური საინვესტიციო მოცულობა \$80 მლნ ამერიკულ დოლარს შეადგენს.

მარიოტის საერთაშორისო ქსელის უმაღლესი კლასის ბრენდის Autograph Collection-ის ქვეშ გაერთიანებული სასტუმროების კომპლექსი დასრულებულია. სასტუმრო თავის პირველ ვიზიტორებს 2017 წლიდან მასპინძლობს. კომპლექსში ფუნქციონირებს 220 ნომერი ხედით ზღვაზე, 1,600 მ მოცულობის აკვარიუმი, ზღვაში 150 მ-ზე შეჭრილი აუზი, ღია და დახურული საცურაო აუზები, ზამთრის ბაღი და თემატური რესტორნები. სასტუმროში ხელმისაწვდომი იქნება სპა და მაგნიტური ქვიშის პროცედურები. პროექტის

ტერიტორიაზე ასევე განთავსდა ბავშვთა გასართობი ცენტრი, წყლის გიგანტური ტოპოგანი, სპორტული მოედნები, კინოთეატრი და კეთილმოწყობილი სასეირნო ბილიკები.

ფონდის შემდეგი მიმდინარე საინვესტიციო პროექტი აჭარის რეგიონში, მწვანე კონცხზე, ბათუმის უნიკალური ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ ხორციელდება. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოები. უმაღლესი კლასის სასტუმროს და გამაჯანსაღებელი კომპლექსის ჯამური საინვესტიციო მოცულობა \$110 მლნ ამერიკულ დოლარს უტოლდება და მისი გახსნა 2019 წელს იგეგმება. სასტუმროში განთავსდება 250-300 ნომერი საუკეთესო ხედებით, საკონფერენციო დარბაზები, ღია და დახურული აუზები და სპა.

თანაინვესტირების ფონდის ერთ-ერთი პროექტი „გალერია თბილისი“! 9 სართულიანი მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრია, რომლის საერთო ფართი 65, 000 მ²-ს შეადგენს, აერთიანებს 100-მდე მაღაზიას, ბოულინგ და ბავშვთა გასართობ ცენტრებს, სერვისისა და კვების ობიექტებს, „თავისუფალა და გრიბოდოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ“ თეატრებს. სავაჭრო ცენტრის მშენებლობის ეტაპზე 2000 ადამიანი იყო დასაქმებული, ხოლო ამჟამად პროექტის ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა 1000 ადამიანს აჭარბებს. ინვესტიციების ჯამური მოცულობა 97 მლნ აშშ დოლარი.

2019 წლის 1 იანვრიდან, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ამუშავდა ახალი საგრანტო კომპონენტი „აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“. მთავრობის ინიციატივა ითვალისწინებს ვაჭრობის წახალისებას გამყოფი ხაზების გასწვრივ. ეკონომიკის სამინისტროს განცხადებით, ინიციატივა ხელს უწყობს სავაჭრო ურთიერთობების იმგვარად წახალისებას, რომ შესაძლებელი გახდეს გამყოფი ხაზების გასწვრივ ეკონომიკური ურთიერთობების გაფაროება, შესაძლებლობების განვითარება შიდა/საგარეო ბაზრებზე. აღნიშნული ინიციატივა ხორციელდება შესაბამისი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე, რომელსაც საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა 2018 წლის 6 ივნისს.

გამყოფი ხაზების (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკა, ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთისავტონომიური ოლქის ტერიტორიები) გასწვრივ ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის, აგრეთვე, თანამშრომლობისა და ნდობის მშენებლობისათვის საფუძვლის შექმნისმიზნით, ახალი პროგრამა უზრუნველყოფს გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი წარმოების და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერას. დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება: 7000 ლარამდე ერთ ბენეფიციარზე, რომელიც უნდა ცხოვრობდეს/საქმიანობდეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე; 15000 ლარამდე ბენეფიციართა ჯგუფზე, რომელიც შედგება ორი ბენეფიციარისგან, მათ შორის ბენეფიციარი უნდა ცხოვრობდეს/საქმიანობდეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე; 20000 ლარამდე ბენეფიციართა ჯგუფზე, რომელიც შედგება სამი ბენეფიციარისგან, მათ შორის მინიმუმ ერთი ბენეფიციარი უნდა ცხოვრობდეს/საქმიანობდეს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე; 35000 ლარამდე ბენეფიციართა ჯგუფზე, რომელიც შედგება ოთხი ან მეტი ბენეფიციარისგან, მათ შორის მინიმუმ ერთი ბენეფიციარი უნდა ცხოვრობდეს/საქმიანობდეს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე;

საქართველოში განხორციელებული ყველაზე მაღალბიუჯეტიანი პროექტები

მაღალბიუჯეტიანი პროექტები - ეს არის ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა. ამ დროს ქვეყნის ეკონომიკაში იდება დიდი ინვესტიცია, საქმდება მეტი ადამიანი და იწყება ფინანსური ბრუნვა. ქვეყანა უფრო ცხადად და მყარად ინიშნება მსოფლიო რუკაზე და უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება ქვეყანაში ინვესტირებით ან მოგზაურობით.

უკანასკნელი წლების ყველაზე გამორჩეული პროექტები კი სხვადასხვა მიმართულებით არის "ანაკლია სიტი", სასტუმრო "ბილტმორ თბილისი" და ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო მაგისტრალი.

"ანაკლია სიტი" -პროექტის დამფინანსებელი ორგანიზაციაა შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ (TBC Holdings and Conti Group). მისი ჯამური ღირებულება შეადგენს 2,5 მილიარდ დოლარს, აქედან 586 მილიონი ინვესტირებულ იქნება პირველი ფაზის მშენებლობისას. სახელმწიფო ინვესტორს გრძელვადიანი იჯარით გადასცემს 1000 ჰექტარ მიწის ნაკვეთს და უზრუნველყოფს პორტთან დამაკავშირებელი გზისა და რკინიგზის მშენებლობას.(პროექტის შეჩერების მიზეზი უცნობია, თუმცა 2019 წლისთვის მისი მშენებლობა ჯერჯერობით არ მიმდინარეობს.)

"ბილტმორ თბილისი"-5 ვარსკვლავიანი სასტუმრო 32 სართულიან 138 მეტრი სიმაღლის შენობაშია განთავსებული. "ბილტმორ თბილისი" Millennium Hotels & Resorts-ის "ბილტმორის კოლექციის" ნაწილია, რომელშიც შედიან მხოლოდ უმაღლესი კლასის ის სასტუმროები, რომელთა დაფუძნების ადგილსაც ისტორიული წარსული აქვს.ამ პროექტში 140 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელდა.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი - ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტიბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაა.2017 წლის 30 ოქტომბერს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი ოფიციალურად გაიხსნა.სიგრძე 826 კილომეტრს შეადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე 254 კილომეტრი გაივლის, მის მშენებლობაში 160 მლნ ინვესტიცია ჩაიდო. პროექტს აზერბაიჯანის რესპუბლიკა აფინანსებს.

თავი IV. საინვესტიციო საქმიანობაში დანერგილი სიახლეები

4.1 (FDI) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაანგარიშების მეთოდოლოგია და პრაქტიკა საქართველოში

ზოგადად უცხოური ინვესტიციები იყოფა სამ კატეგორიად: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI), პორტფელის ინვესტიციები და სხვა ინვესტიციები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტის - საგადასახდელი ბალანსის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. მისი გაანგარიშება საქართველოში ხორციელდება 1997 წლიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის „საგადასახდელი ბალანსის სახელმძღვანელო“¹³, ხოლო 2009 წლიდან „საგადასახდელი ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელო“¹⁴ მიხედვით. გარდა აღნიშნული მეთოდოლოგიისა FDI-ის ზუსტი განსაზღვრის, პირდაპირი ინვესტიციების საწარმოო კავშირების სწორად დადგენისათვის და ზუსტი გაანგარიშების წარმოებისათვის გამოიყენება ასევე „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტანდარტული განსაზღვრება“¹⁵, ასევე, სსფ-ის მიერ 2008 წლის დეკემბერში გამოცემული „კოორდინირებული პირდაპირი ინვესტიციების გამოკვლევის სახელმძღვანელო“.

FDI საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას. პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს არა მხოლოდ კაპიტალის ჩადების საწყის ოპერაციას, არამედ ყოველ შემდგომ ოპერაციას პირდაპირ ინვესტორსა და პირდაპირი ინვესტიციების საწარმოს შორის.

პირდაპირია ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების არანაკლებ 10 პროცენტს ან ასეთი მონაწილეობის ექვივალენტს. პირდაპირი ინვესტორის როლში შეიძლება

¹³ (სსფ, ვაშინგტონი, აშშ, 1993წ., მეხუთე გამოცემა)

¹⁴(სსფ, ვაშინგტონი, აშშ, 2008წ., მეექვსე გამოცემა)

¹⁵(ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, პარიზი, საფრანგეთი, 2008წ., მეოთხე გამოცემა)

გამოვიდნენ ფიზიკური პირები, კორპორირებული ან არაკორპორირებული კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები.

FDI-ის ძირითად წყაროებს წარმოადგენს საქსტატის მიერ წარმოებული კვარტალური და წლიური პერიოდულობის სტატისტიკური გამოკვლევა საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, ინფორმაცია მიიღება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და ასევე აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან არარეზიდენტი სუბიექტების მიერ პრივატიზებული ობიექტების შესახებ. საქართველოს ეროვნული ბანკი აწარმოებს საქართველოს საფინანსო სფეროში, კეძოდ, კომერციულ ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში განხორციელებული FDI-ის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას და ყოველკვარტალურად საქსტატისათვის მიწოდებას.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ სტატისტიკური გამოკვლევა მოიცავს ეკონომიკურ სუბიექტებს საქართველოს ყველა რეგიონიდან (კონტროლირებად ტერიტორიებს). გამოსაკვლევ ობიექტთა შერჩევა ხორციელდება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით:

- საწარმოს ჰყავს არარეზიდენტი დამფუძნებელი (მესაკუთრე); - ახორციელებს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს;
- არარეზიდენტებისგან აქვს აღებული სესხი ან გაცემული მათზე; - დეპოზიტები აქვს განთავსებული არარეზიდენტ ბანკებში;
- ფლობს არარეზიდენტი საწარმოს საწესდებო ან სააქციო კაპიტალის 10% და მეტს; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge info@geostat.ge - არარეზიდენტებს უწევს ან მათგან იღებს მომსახურებას. ყოველკვარტალურად ხორციელდება შერჩეულ საწარმოთა განახლება მათი საქმიანობისა და დამფუძნებელთა კლასიფიკაციის მიხედვით. FDI-ის ძირითადი კომპონენტებია: სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია და სავალო ვალდებულებები. 1997 წლიდან მონაცემები მუშავდება ინვესტორი ქვეყნების მიხედვით. 2007 წლიდან გამოკვლევის ინსტრუმენტარში შევიდა გარკვეული ცვლილებები, რამაც საშუალება მოგვცა მონაცემები დაგვემუშავებინა

ეკონომიკის სექტორების ჭრილში, რასაც საფუძვლად უდევს საწარმოთა ძირითადი საქმიანობის სახე. მონაცემთა სხვადასხვა ინფორმაციული წყაროების საფუძველზე შესაძლებელია FDI-ის მონაცემთა გაანგარიშება ინფორმაციის წყაროების მიხედვით. 2009 წლიდან მონაცემები ხელმისაწვდომია რეგიონულ ჭრილში. 2016 წლიდან - მონაცემები ქვეყნდება შემადგენელი კომპონენტების მიხედვით (სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია და სავალო ვალდებულებები). შესაბამისი მაჩვენებლის დინამიკური მწკრივები ხელმისაწვდომია 2013 წლიდან. 2018 წლის მარტიდან საქსტატმა დაიწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის ამსახველი მონაცემების გამოქვეყნება ინტეგრირებული ფორმატით, რაც ოპერაციებთან ერთად ითვალისწინებს ნაშთების ასახვას (დინამიკური მწკრივები ხელმისაწვდომია 2016 წლიდან). წინასწარი მონაცემების გამოქვეყნება წარმოებს ყოველკვარტალურად საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 70-ე დღეს. ოთხი კვარტალის შეჯამებით მიიღება წინასწარი წლიური მონაცემები, რომლის დაზუსტებაც წარმოებს წლიური გამოკვლევის მონაცემების საფუძველზე მომდევნო წლის 15 აგვისტოს. დაზუსტებული მონაცემები ყოველთვის განსხვავებულია წინასწარისგან. ამის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიზეზი ისაა, რომ საწარმოები წელიწადში ერთხელ წარმოგვიდგენენ დაზუსტებული მოგება-ზარალის მაჩვენებლებს. რადგან FDI ფინანსური კატეგორიაა და არ წარმოადგენს ინვესტიციას განხორციელებულს მხოლოდ ფიქსირებულ აქტივებში, მისი დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობაც საერთაშორისო მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში და სტანდარტებში თავსდება.

FDI-ის შემცირების მიზეზებს შორის აღსანიშნავია: რეზიდენტის მიერ არარეზიდენტის წილის შეძენა, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის რეკლასიფიკაცია პორტფელის ინვესტორად ან სხვა არარეზიდენტ ინვესტორად ან რეზიდენტ ერთეულად, რეზიდენტი საწარმოს მიერ არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ არსებული ვალდებულებების შემცირება.

მონოპოლია და საქართველოს ეკონომიკა

მონოპოლიური ტენდენციები, ბაზარზე ძალაუფლების მქონე მონოპოლიები ფართოდ არის წარმოდგენილი როგორც მთლიანად ქართულ ეკონომიკაში, ისე თითქმის ყველა მის დარგში და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს საბაზრო ეკონომიკა აღმოცენდა იმ დამალებით წარმართვადი სახალხო მეურნეობიდან, სადაც თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობები, სრულყოფილი კონკურენცია საერთოდ არ არსებობდა, სადაც სამეურნეო სუბიექტებს შორის შექმნილი დოვლათით ვაჭრობა კი არ მომდინარეობდა, არამედ მათი დირექტიული განაწილება ხდებოდა.

ამ პირობებში ეკონომიკის სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა ყოფილიყო თანმიმდევრული მკაცრი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება, სრულყოფილი კონკურენციის ფართოდ დამკვიდრება იმ საზოგადოებაში, რომელიც ათეული წლების განმავლობაში სამეურნეო საქმიანობას ყოვლისმომცველ მონოპოლიურ პირობებში ახორციელებდა.

მართალია, ჯერ კიდევ 2014 წლის აპრილში მთავრობამ შექმნა კონკურენციის სააგენტო, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება თავისუფალი კონკურენციის დაცვა და ანტიმონოპოლისტური პოლიტიკის გატარებაა, მაგრამ ამით ბევრი არაფერი შეცვლილა: თუ ამ სამსახურის მიერ პირველ წელს გაწეული საქმიანობის ექვს გვერდზე „დატევას“ მუშაობის დაწყებით ავხსნით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომდევნო წლის ამ უწყებამ ერთადერთ ფაქტზე მიიღო სანქციის დაწესების გადაწყვეტილება? და ეს ყველაფერი ხდება საქართველოს ეკონომიკის ბაზრებისა და დარგების მონოპოლიზაციის თაობაზე ხელისუფლების უმაღლეს დონეზე გაკეთებული განცხადებების ფონზე (საბანკო,სააფთიაქო, ენერგომატარებლებისა და ეკონომიკის სხვა სფეროებში მონოპოლიური ტენდენციების დამანგრეველი შედეგების შესახებ).

ზოგ შემთხვევაში კანონმდებლობის გაუმართაობის და მისი მოთხოვნების რეალიზაციის შედეგებზეც შეიძლება საუბარი. მაგალითად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

1. კომპანია დომინანტად მიიჩნევა, თუ მას შესაბამის ბაზარზე უკავია ბრუნვის 40%-ზე მეტი. აღსანიშნავია, რომ ანტიმონოპოლისტური სამსახურის გაუქმებამდე ეს ზღვარი 33%-ს შეადგენდა.
2. არაუმეტეს 3 ეკონომისტური აგენტისა დომინანტებად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, თუ მათი ერთობლივი წილი ბაზარზე 50%-ს აღემატება (თითოეულის წილი 15 %-ზე მეტია).
3. ითვლება, რომ 5 ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური სუბიექტი დომინირებს ბაზარზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ერთობლივი წილი 80% -ს აღემატება, რაც სხვა ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობასთან შედარებით, მაღალია.

მთლიანად საფინანსო ბაზარზე საბანკო სექტორის წილი მეტად მაღალია (93%), რაც ცალსახად ნიშნავს, რომ ფულადი სახსრების განთავსებისა და ამგვარად შემოსავლის მიღების თვალსაზრისით, ბანკები აბსოლუტურად დომინირებენ დანარჩენ საფინანსო ინსტიტუტებზე (სადაზღვევო კომპანიები, საფონდო ბირჟა, სხვა შემნახველი ორგანიზაციები).

თვით საბანკო სივრცეს რომ პრაქტიკულად „თიბისი ბანკისა“ და „საქართველოს ბანკის“ დუოპოლია განაგებს, ისედაც ბევრისათვის ცნობილია. ისიც ცნობილია, რომ მობილური კომუნიკაციების ბაზრის ვებერთელა წილს ორი კომპანია-„მაგთი“ და „ჯეოსელი“ აკონტროლებს, ხოლო ფარმაცევტული ბაზრის თითქმის ნახევარი „ავერსის“ და „პსპ“-ს განკარგულებაშია. ყველა დაინტერესებულმა პირმა იცის, რომ „სოკარი“, „ლუკოილი“, „ვისოლი“ და „გალფი“ შეხმატკბილებულა განსაზღვრავენ

ფასებს ნავთობპროდუქტების ბაზარზე, ხოლო ინტერნეტის ბაზარი პრაქტიკულად მთლიანად აქვს ხელში ჩაგდებული „სილკნეტს“ და „კავკასუს ონლაინს“.

ეკონომიკაში არსებული მონოპოლიზმი და მონოპოლისტური ტენდენციები, მათ წინააღმდეგ ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა და ზოგიერთი სხვა მიზეზი განაპირობებს დიდწილად იმას, რომ:

1. საქართველოში თითქმის ორჯერ უფრო ძვირია საბანკო მომსახურების პროდუქტი, ვიდრე ევროპაში.
2. საქართველოში საკომისიოს იღებენ ანგარიშის გახსნისათვის, თითქოს ეს ოპერაცია ბანკის პირდაპირი მოვალეობა არ იყოს და რაღაც დამატებითი ხარჯის გაწევას მოითხოვდეს.
3. ასევე იქცევიან საკომუნიკაციო მომსახურების მონოპოლისტი ოპერატორები, რომლებიც სტაციონარული ტელეფონის გათიშვის შემდეგ ყოველთვიურად ახდევინებენ აბონენტებს ე.წ „გამორთვის საფასურს“.
4. ნავთობზე მსოფლიო ბაზარზე ფასის დაცემაზე ქართული ბაზარი ძალზე გვიან რეაგირებს ან მას საერთოდ „ვერ ამჩნევს“, მაშინ როცა მსოფლიოს ბაზარზე ფასის გამვირებას ლამის წინ უსწრებს ჩვენი ბაზრის რეაგირება. იგივე შეიძლება ითქვას ხორბალზეც.
5. მთელ რიგ მედიკამენტებზე ჩვენთან ფასები 2-3-ჯერ აღემატება ევროპულ ფასებს, ხდება პირველ რიგში ძვირი მედიკამენტების შემოტანა , მაშინ როცა შედარებით იაფი დახლიდან ქრება.
6. ექსპერტების გათვლებით, ჩვენთან გაუმართლებლად მაღალია ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, წყლის და სხვა ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქტის ფასი.

7. ქართულ საფინანსო ბაზარზე არ გამოჩნდა, ან ფეხი ვერ მოიკიდა მსხვილმა უცხოურმა ბანკმა (ბაზარი გაურკვეველი მიზეზებით დატოვა HSBC-იმ, რომელიც თავის დროზე კლიენტების დაბალი საპროცენტო განაკვეთებით მოზიდვას შეეცადა.)
8. საქართველოს სამშენებლო სექტორში (სადაც მაღალია სახელმწიფოს წილი) გამოცხადებულ ტენდერებში ხშირად იმარჯვებენ კომპანიები, რომლებსაც არ აქვთ სათანადო გამოცდილება.

სხვადასხვა ბაზრებზე მოქმედი და კანონის მოთხოვნებს აცდენილი მსხვილი კომპანიების ქცევა, მათ შორის ბუნებრივი მონოპოლიების ფასობრივი პოლიტიკა, ეკონომიკის განვითარებაზე მონოპოლიზმის ნეგატიური ზეწოლა, უამრავი სიგნალი ამის თაობაზე პრესასა თუ ტელევიზიაში და მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება გვკარნახობს, რომ ქვეყანაში აუცილებელია ანტიმონოპოლისტური პოლიტიკის არამარტო მნიშვნელოვანი გააქტიურება, არამედ თვისობრივად ახალი მიდგომების შემუშავება.

ცნობილია, რომ სახელმწიფოს მიერ მთლიანი ეკონომიკის მართვაში, ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში უმნიშვნელოვანესი მიმართულება საფინანსო-საგადასახადო ბერკეტების გამოყენებაა. უკიდურესად მაღალი მონოპოლიზმისაგან ეკონომიკის განკურნებაში კი ეს ბერკეტები, სამწუხაროდ, ნაკლებეფექტიანია.

4.2 საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის რისკი დაზღვევა

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს დიდი რაოდენობა პროექტებისა, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სხვადასხვა პარამეტრით, რეალიზაციის ფაქტორებითა და პირობებით. ის, რაც მიუღებელია ინვესტორისათვის ერთ სიტუაციაში, შეიძლება მისაღები იყოს სხვა პროექტის დაფინანსების გადაწყვეტილების მიღების დროს. მსგავს ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- პროექტის მასშტაბი (კაპიტალდაბანდებითა და შრომითი დანახარჯებით);

- რეალიზაციის ვადები;
- სახელმწიფოს მონაწილეობა;
- დარგი;
- რეგიონი;
- მონაწილეების და/ან ინვესტორების კონკურენტული უპირატესობის არსებობა ქმედების მოცემულ სფეროში და ა.შ.

ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად, რომელიც მიმართულია, საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის რისკის დაწვეისაკენ, შეიძლება გახდეს საქართველოში საინვესტიციო პროექტების ბაზრის შექმნა. პრინციპში, საინვესტიციო პროექტების ყიდვა ან გაყიდვა, როგორც მისი რეალიზაციის საწყის სტადიაში, ისე მის დამამთავრებელ ეტაპზე, ახლაც შეიძლება, მაგრამ ასეთი ყიდვა-გაყიდვის გარიგების გამართულად მომზადება და გაფორმება არც თუ ისე ადვილია მხარეების ინტერესების სრულად უზრუნველსაყოფად.

თუ საქართველოში შესაძლებელი გახდება საინვესტიციო პროექტების ბაზრის შექმნა, მაშინ მოცემულ ბაზარზე ოპერაციების განხორციელება ინვესტორებისათვის საინტერესო იქნება იმ შემთხვევაში, თუ ამ ბაზარზე განხორციელებული დაბანდებების საშუალო შემოსავლიანობა გადააჭარბებს სხვა ბაზრების შემოსავლიანობას, მაგალითად ფასიანი ქაღალდების ბაზრისას. თუ კი შემოსავლებს შორის სხვაობა საშუალოდ 15% საინვესტიციო პროექტების ბაზრის სასარგებლოდ, მაშინ ეს მიგვიყვანს მის ეფექტურ ფუნქციონირებამდე.

იმ გარიგებებს, რომლებიც სრულდება ობიექტურად არსებული რისკების სისტემის ჩარჩოებში, პირობის კონკრეტული ხასიათისა და გამოყენებულ ვალდებულებებზე დამოკიდებულებით, შეუძლიათ როგორც გააძლიერონ, ისე შეასუსტონ სხვადასხვა ცდომილების ახდენის შესაძლებლობა, ე.ი. გაზარდონ ან შეამცირონ გარიგების მონაწილეთა რისკი. სხვადასხვა პირობების შემუშავებისა და ვალდებულებების მიღების დროს ყოველთვის ვერ ხერხდება რისკების განაწილება ან გადანაწილება გარიგებაში მონაწილე მხარეებს შორის, ხოლო ზოგჯერ ზოგიერთი პირობის ჩართვის შემდეგ

შეიძლება დავაკვირდეთ რისკის საერთო დაწევას ორივე მხარისათვის. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც განხორციელებულ პროექტში ჩართულია ორგანიზაციული, ფინანსური ან სპეციალური მექანიზმები, რომლებიც იწვევენ პროექტის რეალიზაციის ხარისხის აწევას, ფინანსური ნაკადების მიმართ კონტროლის გამლიერებას, სხვადასხვა არასასურველი სიტუაციის მიმართ დამცავი ხერხების განხორციელებას და ა.შ.

ამ კუთხით უმთავრესი მექანიზმის სახით, რომელიც მონაწილეთა და ინვესტორთა რისკის დაწვევის საშუალებას იძლევა, უნდა განვიხილოთ დაზღვევა. საინვესტიციო დაზღვევა არის ყველა მონაწილის მატერიალური და არამატერიალური რესურსების დაცვა ყველა შესაძლო რისკისგან. დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ყველა ტიპის ინვესტიცია, რომელიც მიზნად ისახავს შემოსავლის გენერირებას. მთავარი საინვესტიციო ობიექტები, რომელიც დაზღვევას ექვემდებარება შემდეგია:

- **პირდაპირი ინვესტიციები** (ფიქსირებული აქტივები, საწარმოს მფლობელობაში არსებული აქტივები: მიწა, ტექნიკა, ტრანსპორტი და სხვა.
- **ფინანსური ინვესტიციები** (ორგანიზაციის ფასიანი ქაღალდები)
- **კრედიტები და სესხები;**
- **საკუთრების უფლება;**

საინვესტიციო დაზღვევის საჭიროება სხვადასხვა რისკების გამო წარმოიქმნება, რომლებიც ნებისმიერ საინვესტიციო საქმიანობას ყოველთვის თან ახლავს.

საბაზისო ან კლასიკური დაზღვევის საჭიროება ჩნდება მაშინ, როდესაც საქმე ეხება ინვესტორის მატერიალური სახსრების უსაფრთხოებას (კერძოდ დაზღვევა ხანძრისგან, სხვადასხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან, ბუნებრივი კატასტროფებისგან და ა.შ.

პოლიტიკური რისკები უბიძგებთ ინვესტორებს, განსაკუთრებით უცხოელებს დააზღვიონ თავიანთი მატერიალური ქონება, რათა ნაციონალიზაციის,

რეკოლუციის, სოციალური არეულობის და სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფლების ჩამორთმევისგან თავი დაიცვან.

სამწუხაროდ , საქართველოს სადაზღვევო კომპანიები ამ საქმით სერიოზულად არ არიან დაკავებული და საეჭვოა, რომ პროექტის მონაწილეებმა ან ინვესტორებმა შეძლონ თავიანთი რისკების დაზღვევა **მისაღებ პირობებში**. ამგვარ სიტუაციებში რა არის მისაღები და რა არა, ძნელად განისაზღვრება. ამ საქმეში არსებობს (უკიდურეს შემთხვევაში) სამი პრობლემა. განვიხილოთ ისინი.

პირველი, რეალიზაციის რისკების და პროექტის ფინანსირების დაზღვევის სწორი ორგანიზება საკმაოდ რთულია, რამდენადაც სადაზღვევო ქმედება ლიცენზირებულია. არსებული დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებული ლიცენზიის მისაღებად მზღვეველმა ფინანსთა სამინისტროში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები: სადაზღვევო ოპერაციების განვითარების პროგრამა სამი წლის ვადით, რომელიც შეიცავს დასახული ოპერაციების სახეებსა და მოცულობას და მაქსიმალურად შეესაბამება ორგანიზაციების პირობებს ჰქონდეს გადაზღვევითი დაცვა; ოპერაციის სახეების მიხედვით დაზღვევის წესები და პირობები; ცნობები ბანკებიდან ან ორგანიზაციებიდან, რომლებიც ადასტურებენ საწესდებო კაპიტალის სარეზერვო ან ანალოგიური ფონდების არსებობას; მიღებული ტარიფების სისტემის განაკვეთებისა და რეზერვების სტატისტიკური დასაბუთება;

ამგვარაა, რომ მონაწილეებისათვის ზემოთ ჩამოთვლილი ან მისი მსგავსი საბუთების მომზადება სადაზღვევო კომპანიებისათვის არ წარმოადგენს ადვილ საქმეს და მითუმეტეს, ახალი სადაზღვევო ბაზრის სეგმენტის ათვისებისათვის, რომელიც დაკავშირებულია საინვესტიციო პროექტების რეალიზაციასა და მათ ფინანსირებასთან;

მეორე, პრაქტიკაში რეალურად განხორციელებული პროექტის რეალიზაციის ობიექტურად შეფასება. არ შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი საქმიანობის პრაქტიკა საქართველოში ძალიან მდიდარია. იგი არაა საკმაოდ ღრმად სისტემატიზირებული. თანაც არ არსებობს ამისათვის სათანადო სტატისტიკური ბაზა.

მესამე, საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის და დაფინანსებისათვის რისკების დასაზღვევად აუცილებელია გატარდეს შესაბამისი მეთოდოლოგიური დამუშავებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს აქტუარულ გათვლებს. იმ დანახარჯების განსაზღვრა, რომელიც საჭიროა მოცემული ობიექტის დასაზღვევად - ერთ-ერთი რთული და საპასუხისმგებლო მომენტია მზღვეველის მოქმედებაში. აქტუარული კალკულაციის როლი ძალიან დიდია სადაზღვევო ბიზნესში. ერთის მხრივ, ის საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მომსახურეობის თვითღირებულება, რომელსაც მზღვეველი ახდენს, მეორეს მხრივ, - მისი საშუალებით იქმნება პირობა სადაზღვევო კომპანიის ეკონომიკური, ფინანსური და ორგანიზაციული წარმატებისა და ნაკლის მიზეზების აღმოჩენისა.

4.3 2019 წლის გამოწვევები საქართველოს საინვესტიციო სფეროში

სახელმწიფოს მეთაურების თქმით, წინა წლებისგან განსხვავებით, ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ინფლაციის დონე ამაღლდეს. პირიქით, სხვა თანაბარ პირობებში, ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის თანდათანობით შემცირებას შეძლებს.

მიუხედავად იმისა, რომ მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს, ის 2019 წლისთვის 4.5%-ზე არის პროგნოზირებული, რაც 2018 წლის მაჩვენებელზე 0.5% პუნქტით ნაკლებია, ანუ საქართველოს ეკონომიკური ზრდა შენელებს. ეს გასაკვირი არ არის, მაშინ როდესაც გასულ წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად შემცირდა და ძალიან რთული იქნება ის წელს 2014-2017 წლების საშუალო მაჩვენებელს – 1.8 მილიარდ დოლარს დაუბრუნდეს.

ინვესტიციების შემცირებას არამარტო ეკონომიკურ ზრდაზე, ლარის კურსზეც აქვს ნეგატიური გავლენა. თუმცა ლარის კურსი საბოლოო ჯამში ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და აქედან გამომდინარე მისი პროგნოზირება რთულია. მხოლოდ ერთი რამის თქმაა შესაძლებელი, რაც უფრო ნაკლებად გამყარდება ლარი გაზაფხულ-ზაფხულში, მით ნაკლები იქნება შემოდგომიდან მისი გაუფასურების ალბათობა.

2019 წლიდან ძალაში შევიდა გამკაცრებული რეგულაციები სესხის გაცემაზე, რაც ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად იმოქმედებს, თუ პარალელურად სასესხო პროცენტი ბიზნესსესხებზე მნიშვნელოვნად არ შემცირდება და სამომხმარებლო სესხების შემცირებას არ გადაფარავს.

2019 წლიდან ძალაში შევიდა საპენსიო რეფორმა, რომლის მთავარი გამოწვევა პირველ ეტაპზე თავად ამ რეფორმის პრაქტიკაში დანერგვაა, ასე ვთქვათ, ამუშავება.

წლის მთავარი გამოწვევები ინვესტიციების ზრდა, საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის (ძირითადად სავაჭრო დეფიციტის) შემცირება და ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილი 3.5 მილიარდი ლარის ათვისებაა.

საქართველო უკვე არის იმ ეტაპზე, როცა უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის ბიზნესგარემოს თვისებრივი ცვლილებები სჭირდება. სახელმწიფოს მეთაურების აზრით, ეკონომიკური შინაარსის საერთაშორისო რეიტინგებში წინსვლა, დიდად აღარ დაგვეხმარება, მით უმეტეს აღნიშნულ რეიტინგებში ისედაც ლიდერ პოზიციებზეა.

ბიზნესგარემოს თვისებრივ ცვლილებაში კი ქვეყნის მეტი დემოკრატიულობა, კანონის უზენაესობა და უკეთესი განათლებისა და კვალიფიკაციის სამუშაო ძალა იგულისხმება. დემოკრატიულობისა და კანონის უზენაესობის თვალსაზრისით 2018 წელი უკან გადადგმული ნაბიჯი იყო, რაც ყველაზე კარგად წინასაარჩევნო პერიოდში გამოჩნდა. 2019 წელს არჩევნები არ არის და, შესაბამისად, მთავრობას ექნება ერთი მშვიდი წელი, რომ არა პოპულისტური, არამედ ეკონომიკურად სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის შესწავლა საქართველოში, თუ რა გავლენას ახდენს პუიების შემოდინება საქართველოს ეკონომიკაზე, რა სახის ნაბიჯებია გადასადგმელი საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად სახელმწიფოს მიერ და აღნიშნულთან დაკავშირებით არსებული პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა.

გამოკითხვაში მონაწილეობდა 100-ზე მეტი ადამიანი, კვლევის შედეგები შემდეგნაირად აისახა:

სქესი	ასაკი		
მდედრობითი 75,7%	20-30 წლამდე 41.7%	40-50 წლამდე 10,7%	
მამრობითი 24,3%	30-40 წლამდე 35%	50-60 წლამდე 7,8 %	
		60-70 წლამდე 4,9%	

დიაგრამა 1. რომელ საინვესტიციო ინსტრუმენტს იცნობს მოსახლეობა.

როგორც კვლევაში აისახა, რესპოდენტების დიდი ნაწილი 62% ინვესტირების სახეობებიდან ცნობს ინვესტირებას ბიზნესში, 50%-50% მოსახლეობის, კარგად იცნობს პირად რეალურ ქონებას და საბინაო-სამშენებლო, უძრავ ქონებას; 38% ფასიან ქაღალდებს, ხოლო 33% სასაქონლო მარაგების ზრდას, ე.ი რესპოდენტთა დიდი ნაწილი ინვესტირებას ბიზნესში ყველაზე კარგად იცნობს.

რაც შეეხება კონკრეტულად ციფრებს და პროცენტულ მაჩვენებლებს პირველ გრაფიკზეა ასახული.

გამოკითხულ რესპოდენტთა უმეტესობა, ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, ინვესტიციების შესახებ მეტ-ნაკლებ ინფორმაციას ფლობს. უნდა აღინიშნოს, რომ რესპოდენტების უმეტესობამ დაასახელა არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე საინვესტიციო ინსტრუმენტის ცნობადობა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მათი ინფორმირებულობა ამ საკითხთან დაკავშირებით აშკარაა.

საინვესტიციო ინსტრუმენტად ითვლება ნებისმიერი ობიექტი ან მექანიზმი, რომელიც მოგვითმის მოგებას ან სხვა სახის სარგებელს, რომლის მიღწევაც გვსურს. ისევე როგორც გრაფიკზეა ჩამოთვლილი, აქაც მოვიხსენიოთ საინვესტიციო ინსტრუმენტები:

- საბანკო დეპოზიტები;

- ფასიანი ქაღალდები;
- ჰეჯ-ფონდები;
- Open-end- ფონდი;
- უძრავი ქონება;
- ძვირფასი ლითონები;
- საპენსიო ფონდები;
- საფონდო ბირჟის აქციები;
- ალტერნატიული ინსტრუმენტები (საკოლექციო, ფუფუნების, ხელოვნების ნივთები და ძვირფასი ქვები)

ასევე მათ ემატება ინტერნეტ ინვესტირება, რომელიც თანათთან პოპულარული ხდება. ამ ინსტრუმენტის საშუალებით, ყველა სახის ინვესტიციის განხორციელება შესაძლებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საინვესტიციო სფერო ხასიათდება რისკებით, აქედან გამომდინარე რისკის ხარისხზე დაყრდნობით შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი საინვესტიციო ინსტრუმენტები:

დაბალი რისკის მქონე საინვესტიციო ინსტრუმენტები. ეს არის იარაღები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოგებას, მაგრამ, როგორც წესი, ამ მოგების პროცენტული მაჩვენებელი არ არის მაღალი. ამ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება:

- დეპოზიტის გახსნა სახელმწიფო ბანკში;
- სახელმწიფო ობლიგაციები;
- დაგროვების პროგრამები;
- დანაზოგი სტაბილური ვალუტაში;

საშუალო რისკის მქონე საინვესტიციო ინსტრუმენტები. ეს ინსტრუმენტები უფრო მეტ მოგებას გპირდებათ, მაგრამ ამავედროულად რისკიც იზრდება. მოგების დაპირების პროცენტი, როგორც წესი, 10-დან 20 პროცენტამდე მერყეობს. ამ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება:

- დეპოზიტის გახსნა კომერციულ ბანკებში;
- კომერციული ბანკების და კომპანიების თამასუქები;
- გაქირავებული უძრავი ქონება;
- უძრავი ქონების ფონდების წილი;
- მაღალი რისკის მქონე საინვესტიციო ინსტრუმენტები. ამ ინსტრუმენტებზე დაპირებული სარგებელი წელიწადში 30 პროცენტს აღემატება. ამ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება:
- აქციებში ინვესტირება;
- საკუთარ ბიზნესში ინვესტირება;
- ვალუტით, აქციებით და ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობა;

დიაგრამა 2. რომელი კომპანიის აქციებს შეიძენდა მოსახლეობა.

კონკრეტული კომპანიის აქციების შეძენით ინვესტორი ხდება მისი თანამფლობელი ან აქციონერი. აქ დადებითი ის არის, რომ კომპანიის აქციების მფლობელ ინვესტორს უფლება აქვს დაესწროს აქციონერთა შეხვედრას და განახორციელოს ცვლილებები მის საქმიანობაში და სამომავლო განვითარებაში. ინვესტორი აქციების რაც უფრო დიდ პაკეტს ფლობს, მით უფრო ფასეულია მისი გადაწყვეტილებები მართვის პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს არ შეუძლია ან არ გეგმავს აქციონერთა საბჭოში მონაწილეობის მიღებას, მას უფლება აქვს თავისი ხმის უფლება სხვას გადასცეს.

რა ქმედებებს ახორციელებენ აქციონერები? აქციონერები, მათ მიერ დაბანდებული კაპიტალის შესაბამისად იღებენ კომპანიის მოგების ნაწილს დივიდენდების სახით. მაგრამ დივიდანდი არ არის შემოსავლის ერთადერთი წყარო, რომელსაც აქციების მფლობელები იღებენ. მოგების ძირითად ნაწილს ინვესტორი იღებს აქციებზე ფასის ცვალებადობით, მაგალითად ინვესტორს შეუძლია იყიდოს აქციები დაბალ ფასად და გაყიდოს პირველად ღირებულებასთან შედარებით სამჯერ უფრო ძვირად. თუმცა,

ვფიქრობ, ეს ძალიან სარისკო საქმეა, რადგან ნაყიდი აქციების ფასი შეიძლება როგორც გაიზარდოს ასევე შემცირდეს.

როგორც დიაგრამა 2-დან ჩანს, შეთავაზებული კომპანიების აქციების შეძენით დაინტერესდა 100-ზე მეტი რესპოდენტი, რომელთა ნაწილს, არა მხოლოდ ერთი კომპანიის, არამედ ორ და მეტი კომპანიის აქციების შეძენის სურვილიც კი გაუჩნდა.

გამოკითხული 105 რესპოდენტიდან, კვლევის შედეგები შემდეგნაირია ამ საკითხთან დაკავშირებით:

სს „საქართველოს ბანკი“-ს აქციებს შეიძენდა მოსახლეობის -50,5%

სააფთიაქო ქსელი „ავერსი“-ს აქციებს შეიძენდა - 32%

GWS- ღვინის კომპანია საქართველოში აქციებს შეიძენდა - 23.3 %

სილქნეტის აქციებს შეიძენდა - 15,5 %

შპს „ნიკორა“-ს აქციებს შეიძენდა - 18,4%

საქართველოს ბირჟაზე არსებული მდგომარეობა შემდეგნაირია: ბაზარზე ვაჭრობა შესაძლებელია, როგორც ქართული კომპანიის ფასიანი ქაღალდებით ისე, უცხოური კომპანიის. ამ ეტაპისთვის, საფონდო ბირჟაზე დაშვებულია 128 კომპანიის ფასიანი ქაღალდი. აქედან დიდი ნაწილი, არის აქციები და დაახლოებით 7 არის ობლიგაცია. ყველაზე დიდი რაოდენობით ობლიგაციები IBRD-მა გამოუშვა, და მისი ღირებულება 107 მლნ ლარი იყო. დღეს ბირჟებზე(Exchange) აქციებს ყიდულობენ ინტერნეტის საშუალებით.

პრაქტიკულად ყველა გარიგება ხორციელდება ინტერნეტ-ტერმინალების საშუალებით, რომლებიც წარმოადგენენ სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამებს, სადაც ხორციელდება ბირჟებზე დაკვირვება და ყიდვა-გაყიდვისთვის გარიგებების ფორმირება.

ინდივიდუალურ ინვესტორს (Investor) როგორც პროფესიონალს შეუძლია კომპიუტერის მონიტორზე დაინახოს მთელი საფონდო ბაზარი(Stock Market). ყველა აუცილებელი

ინფორმაციის ტრანსლირება ხდება რეალური დროის რეჟიმში რათა ინვესტორმა შეაფასოს სიტუაცია ბაზარზე და მიიღოს საინვესტიციო გადაწყვეტილება. ბირჟაზე შეკვეთის განხორციელება ხორციელდება მყისიერად.

ბირჟაზე მოხვედრის საშუალებას იძლევა ბირჟის პროფესიონალი მონაწილე-ბროკერი(broker), საინვესტიციო კომპანია (Investment Company), რომელსაც გააჩნია საბროკერო ლიცენზია (Brokerage License) და აკრედიტირებულია ბირჟაზე. ხელშეკრულების დადების შემდეგ ბროკერი აძლევს კლიენტს პროგრამას-სავაჭრო ტერმინალს (Trading Terminal) და აერთებს მას საბირჟო ვაჭრობასთან.

გარიგების განხორციელება შეიძლება ინტერნეტის გარეშეც, ბროკერზე შეკვეთის გადაცემას ტელეფონის საშუალებით.

როგორც დავინახეთ აქციების შეძენა საკმაოდ მარტივი ყოფილა და სულაც არ მოითხოვს დიდ დროს და ძალისხმევას. მთავარია დაინტერესება, ის თუ რას მოუტანს მყიდველს აქციის შეძენა და როგორ ისარგებლებს მისით.

კვლევაში ჩამოთვლილ კომპანიებში მოიაზრება არა მხოლოდ კონკრეტული კომპანია, არამედ სფერო, რომელიც რესპოდენტებისთვისაც ცნობილი იყო. როგორც კვლევიდან გამოვლინდა, ბანკის, კერძოდ საქართველოს ბანკის აქციების შესყიდვის მსურველთა პროცენტული მაჩვენებელი 50,5 %-ია. ბანკის წესდების მიხედვით, ბანკის ავტორიზებული კაპიტალი შედგება 43,308,125 (ორმოცდასამი მილიონ სამას რვა ათას ასოცდახუთი) ჩვეულებრივი აქციისაგან, რომელთაგან 27,821,150 (ოცდაშვიდი მილიონ რვაას ოცდაერთი ათას ას ორმოცდაათი) აქცია გამოშვებული და ბანკის აქციონერთა მფლობელობაშია, ხოლო 15,486,975 (თხუთმეტი მილიონ ოთხას ოთხმოცდაექვსი ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი) ჩვეულებრივი აქცია ავტორიზებულია, მაგრამ არ არის გამოშვებული ბანკის მიერ;

სს „საქართველოს ბანკმა“ მისი ბიზნესის შემდგომი განვითარებისა და ზრდის მიზნებისთვის , აქციონერთა საყურადღებოდ გამოაქვეყნა კანონი. ეს კანონი მოიცავს

დებულებებს, აქციათა ტიპისა და ოდენობის შესახებ, ნომინალური ღირებულების, შესასყიდი ფასის და გამოშვების თარიღის შესახებ.¹⁶

რაც შეეხება სააფთიაქო ქსელს „ავერსი“ და ზოგადად აფთიაქების ქსელის აქციების ფლობა, როგორც ჩანს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის (32%) დიდი სურვილია. ისევე როგორც საბანკო სივრცეში, ასევე სააფთიაქო ქსელების სისტემაში რესპოდენტების უმრავლესობა და საქართველოს მოსახლეობა გარკვეულია. ისინი მიხვდნენ, რომ რეალურად მოგებას, ეს სფეროები ნახულობენ დღევანდელ ბაზარზე. მათი აქციები, მარკეტინგული გათვლები თუ შეფუთული და მომხმარებლისთვის ლამაზად მიწოდებული პროდუქცია, საბოლოო ჯამში მოგებაზე ისახება. ეს ყველაფერი კი აქციონერთა წისქვილზე ასხავს წყალს. **იხ. დიაგრამა 2.**

დიაგრამა 3. როგორ ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა, რატომაა მნიშვნელოვანი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნისთვის.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნისთვის რომ მნიშვნელოვანია, ამაზე ყველა გამოკითხული რესპოდენტი თანახმაა, თუმცა რატომაა მნიშვნელოვანი, ამ საკითხზე მათი აზრები გაიყო.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, მოსახლეობის 69,5% ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, უცხოური ინვესტიციების შემოდინებას დადებითად მიიჩნევს. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ გარკვეულწილად წარმოდგენა უცხოური ინვესტიციების სარგებლობაზე მოსახლეობაში აშკრად არსებობს. დავინახეთ, რომ მნიშვნელოვან წილად უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე მკვეთრად ისახება. ასევე რესპოდენტთა ნაწილი იმასაც თვლის, რომ უცხოურ ინვესტიციებს სიახლეები შემოაქვს და ინოვაციებს ნერგავს სხვადასხვა სფეროში, ასევე ავითარებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, ინოვაციებსა და სტარტაპებს.

¹⁶ სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის“ აქციონერთა საყურადღებოდ . წყარო [www. matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

რა თქმა უნდა იმ რესპოდენტთა აზრიც საინტერესოა, რომლებიც ფიქრობენ, რომ მონოპოლია სუფევს ქვეყანაში, სხვადასხვა სფეროში და სწორედ მათ გასაქრობად მშვენიერი იდეაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და უცხო კომპანიების ბაზარზე შემოყვანა. ძირითადად, როდესაც უცხო კომპანიები იწყებენ ქვეყანაში ფუნქციონირებას, ადგილობრივ კადრებს ირჩევენ და ასაქმებენ. ესეც დადებითი მხარე, ქვეყანას მეტი დასაქმებული ადამიანი ეყოლება. **იხ. დიაგრამა 3.**

დიაგრამა 4. ადგილობრივი საინვესტიციო ფონდების საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობა.

გამოკითხულთა დიდი ნაწილი 69,5% ყველაზე აქტუალურ საინვესტიციო ფონდების საქმიანობითაა დაინტერესებული, ეს დაგროვებითი საპენსიო ფონდია რომელსაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უნდობლობას უცხადებს. გამოკითხულთა თითქმის ნახევარზე მეტი 61% აწარმოე საქართველოში და თანაინვესტირების ფონდებს და მათ საქმიანობას სცნობს. მათზე ისევე როგორც სმენიათ, ვიზუალურადაც დაუნახავთ მათი დაფინანსებით განხორციელებული პროექტები. შედარებით ნაკლები, თითქმის მესამედი მოსახლეობის 43,8% ,საპარტნიორო ფონდის ცნობადობას ასახელებს, ხოლო სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების პოპულარობა აშკარად ნაკლებია რესპოდენტთა გუნდში-სულ 40%. რაც შეეხება საბირჟო საინვესტიციო ფონდებს, აშკარაა გაუმართავი და არც თუ ისე პოპულარული საფონდო ბირჟა მოსახლეობაშიც არ იწვევს პოპულარობას. სულ 7,6% ცნობს მათ არსებობას. **იხ. დიაგრამა 4.**

დიაგრამა 5. როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა აზრი საინვესტიციო საქმიანობის არსებობას საქართველოში?

როგორც დიაგრამიდან შეგვიძლია დავინახოთ, რესპოდენტს თითოეულ კითხვაზე უნდა მიენიჭებინა ქულა, თავისი შეხედულების შესაბამისად. სულ 5 კითხვა იყო და 5 ბალიანი სისტემით ფასდებოდა თითო. როგორც კვლევიდან გამოვლინდა, გამკითხულთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ქვეყანაში საგადასაადო სისტემა გამჭვირვალეა და აფასებს

5 ქულით (54%), ქონების გადასახადიდან თავისუფლდება ინვესტორი, ამ კითხვაზე 4 ქულიან შეფასებას აძლევს 21%, ქვეყანას არ გააჩნია ეკონომიკური სტაბილურობა, ამაზე გამოკითხულთა 9% ვარაუდობს, ხოლო 8% მიაჩნია, რომ საგადასახადო კოდექსი გამჭვირვალეა და ინვესტორი თავისუფალია ბუნდოვანი გადასახადებისგან. **იხ. დიაგრამა 5.**

დიაგრამა 6. რესპოდენტს შეეძლო განსხვავებული აზრის დაფიქსირება.

უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ქვეყანაში, ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადადგმულა და ბევრიც მისაღწევი გვაქვს. მოსახლეობას ამასთან დაკავშირებით მაინც შევთავაზეთ საკუთარი აზრის დაფიქსირება. რესპოდენტთა უმრავლესობა (42,3%) თვლის, რომ ქვეყანაში საჭიროა შეიქმნას პროგნოზირებადი და ხელისშემწყობი სამართლებრივი გარემო, რადგან ინვესტორი პიველ რიგში ამ კუთხით ინტერესდება. მოსახლეობის 36,5% თვლის, რომ სტაბილურობის განცდა არაა ქვეყანაში. ალბად რაღაც პროცენტით, ინვესტორიც ამას ფიქრობს, საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს ინვესტიციების შემოდინება დღეს საქართველოში, რომელსაც ქვეყნის ეროვნული სტატისტიკა მოწმობს. დანარჩენი პროცენტული მაჩვენებელი (20,2%) ინვესტორთა დაცულ სამართლებრივ მხარეს ასახელებს. **იხ. დიაგრამა 6.**

დიაგრამა 7. როგორ ფიქრობთ, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად საქართველოში?

საინტერესოა ხალხის აზრი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უარყოფით გავლენაზე ქვეყნისთვის. კვლევის შედეგები დიაგრამაზე ნათლად ჩანს ასახული, რომელზე ერთი შეხედვითაც შეგვიძლია დასკვნების გაკეთება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რესპოდენტს შეეძლო საკუთარი აზრი დაეფიქსირებინა. სწორედ, გამოკითხულთა 1% აზრი დაფიქსირდა დიაგრამაზე მწვანე შეფერილობით. **იხ. დიაგრამა 7.**

დიაგრამა 8. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

პუი-ების გავლენამ საქართველოს ეკონომიკაზე შეიძლება სხვადასხვა შედეგზე გაგვიყვანოს. მათი შემოდინება საქართველოს ეკონომიკაზე ნათლად ისახება ყოველ წელს. რა თქმა უნდა ამ თემით მოსახლეობაცაა დაინტერესებული და ჩვენი კითხვის პასუხად შემდეგი შედეგები მივიღეთ. დიაგრამიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ აწუხებს მოსახლეობას დასაქმების პრობლემა, შესაბამისად 39,4% დადებით მხარედ მიიჩნევენ პუი-ების შემოდინებას და იმედსაც იტოვებენ, რომ დასაქმების დონე გაიზრდება. რესპოდენტთა 32,3% დარგების განვითარების იმედს იტოვებს ხოლო 28,3 % ფიქრობს, რომ კონკურენციას გაუწევენ ადგილობრივი ინვესტორებისა და ფონდების საქმიანობას.

იხ.დიაგრამა 8.

დასკვნა

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და მეტი ინვესტიციების მოზიდვას ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატი მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებით განხორციელებული კომპლექსური და თანმიმდევრული რეფორმებით მიიღწევა და შესაბამისად მისი, როგორც მრავალფაქტორული შედეგის მიღწევა გულისხმობს საინვესტიციო გარემოს კომპლექსურ ანალიზს მრავალი შიდა და გარე ფაქტორის გათვალისწინებით. ამიტომ ამ საკითხის დეტალურად შესასწავლად მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი:

პირველ რიგში, ქვეყანამ საჭირო ზომები უნდა მიიღოს, რათა ხელი შეუწყოს ექსპორტის დივერსიფიკაციას და შეამციროს იმპორტის შენაცვლების სტრატეგია. ქვეყანაში მწვავედ დგას საკითხი საკუთრების უფლებების შელახვისა, ინვესტორთა ფინანსური უფლებების შელახვის, გამჭვირვალობის, საგადასახადო ადმინისტრირების, დავების სამართლებრივი გზით გადაწყვეტისა და სხვა პრობლემები, რაც პოლიტიკურ არასტაბილურობასთან ერთად მნიშვნელოვნად ზრდის რისკებს და კაპიტალის ფასს.

ინვესტიციების შემოდინება 2008 წლიდან მკვეთრად გაიზარდა. რაც ძირითადად განპირობებული იყო ისეთი ფაქტორებით, როგორცაა: გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ბუნებრივ და ენერჯო რესურსებზე კონცენტრირება, იაფი და მეტ-ნაკლებად განათლებული მუშა-ხელი, წარმოების ტრადიციები და რაც მთავარია ქვეყანაში განხორციელებული ლიბერალიზაციის პროცესები – ეს ყველაფერი წარმოადგენდა მთავარ ფაქტორებს ქვეყანაში ინვესტიციების მოსაზიდად. თუმცა, დღესდღეობით საქართველოში არსებობს სხვადასხვა სახის პრობლემები, მაგალითად: პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, ლარის ინფლაცია, საფონდო ბირჟის განუვითარებლობა, ბანკების, სააფთიაქო ქსელების, კავშირგაბმულობების მონოპოლია და ა.შ, რომელთა გამოსწორებაზე და უკეთესი შედეგების მოტანაზე აუცილებლად უნდა იზრუნოს მთავრობის

წარმომადგენლებმა და შესაბამისმა სტრუქტურებმა, რათა შეინარჩუნონ არსებული ინვესტორები და მოიზიდონ ახალი საინვესტიციო რესურსები.

ამ ყველაფერთან ერთად, თემის შესწავლისას დადასტურდა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში ჩამოყალიბებული საგადასახადო გარემო ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია არამხოლოდ რეგიონში, არამედ ევროპასა და მსოფლიოშიც კი. საქართველო ბიზნესის კეთება საქართველოში მეტად მარტივია, თუმცა პრობლემები, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ არსებობენ, ხელს უშლიან და, ფაქტობრივად, ანეიტრალებენ იმ წარმატებებს, რომლებსაც ქვეყანამ უკვე მიაღწია. კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ასევე - გადახდისუუნარობასთან, კომერციული დავების გადაჭრასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემური საკითხი. მსგავსი დაბრკოლებები კი აუარესებენ სამეწარმეო გარემოს, ამცირებენ ინვესტორთა ნდობას და უმნიშვნელოს ხდიან სხვა სფეროებში ჩამოყალიბებულ ქმედით მექანიზმებს.

საქართველო დიდი კულტურისა და უძველესი ტრადიციების მატარებელი ქვეყანაა. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც რამოდენიმე ეკონომიკური რეგიონის გადაკვეთაზეა - ანიჭებს მას უნიკალურ კონკურენტულ უპირატესობას, როგორც ტრანზიტულ ქვეყანას. თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო იგი იწვევს უცხოელი ინვესტორების ინტერესს. უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და საინვესტიციო პორტფელის დასახვეწად საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად, საჭიროა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

რეკომენდაციები

- უზრუნველყოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება და სტაბილურობა;
- უზრუნველყოს ისეთი პოლიტიკა და ქმედებები რომელიც გაადვილებს არა მხოლოდ ბიზნესის დაწყებას, არამედ ბიზნესის წარმოებას სტაბილურ, არადისკრიმინაციულ და პროგნოზირებად გარემოში;

- საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შექმნას პუი-ს ხელშემწყობი სამართლებრივი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ადგილობრივი ბაზრის ზრდას შეუწყობს ხელს, სათანადოდ განვითარებული ინფრასტრუქტურისა და ადამიანური კაპიტალის ჩათვლით.
- უზრუნველყოს ვაჭრობის ლიბერალიზაცია და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება სამართლიანი კონკურენციის, როგორც სავაჭრო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტის გარემოში. ამას გარდა, ხელი შეუწყოს შიდა ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული ადგილობრივი საწარმოების განვითარებასაც.

ზემოთ ნახსენები რეკომენდაციები მიუთითებს, რომ უცხოური ინვესტიციების წახალისება ავტომატურად არ განაპირობებს ქვეყნის განვითარების მიზნების მიღწევებს, ამიტომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის, საზოგადოების კეთილდღეობის ამდლებისათვის აუცილებელია რომ: ქვეყანამ კომპლექსური და თანმიმდევრული რეფორმებით გააუმჯობესოს საინვესტიციო კლიმატი (და არა მისი განმსაზღვრელი ცალკეული კომპონენტი), და რაც ყველაზე მთავარია, საინვესტიციო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს იმ ინვესტიციების წახალისებაზე, რომელიც წაადგება ქვეყნის კონკურენციული უპირატესობების რეალიზაციას და შექმნის მეტ სამუშაო ადგილებს.

სიღარიბე რომ დავძლიოთ, ორი რამ გვჭირდება. ერთი – უცხოური პირდაპირი ინვესტიციების, ზრდა . მეორე ფაქტორია – მწარმოებლობის ზრდა, რომელიც დაკავშირებულია ცოდნასთან, ბიზნესის წარმოების უნართან, მაღალი ტექნოლოგიების ფლობის უნართან და ა.შ. ჩვენ რომ ეკონომიკურ ზრდას მივაღწიოთ, ამისთვის საჭიროა ერთი მხრივ კაპიტალი, რაც ნიშნავს პირდაპირი ინვესტიციების მაჩვენებელს და მეორე – განათლება, რომელიც ან ჩვენ უნდა გვქონდეს, ან გარედან მოვიზიდოთ.

საქართველო მცირე ეკონომიკური სივრცეა და გლობალურ კონკურენციის ფონზე ინვესტიციების მოზიდვა მხოლოდ ბიზნესგარემოს გაუმჯობესებით და ეკონომიკური სივრცის გაფართოებით არის შესაძლებელი. ამ უკანასკნელს ემსახურება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმები, როგორც ქვეყანას აქვს რეგიონის ახლო სამეზობლოში, ასევე ევროპასთან და ჩინეთთან. ჩემი აზრით, მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მსხვილი

საერთაშორისო კომპანიების საქართველოში დაინტერესება, რომელთაც შიდა ბაზარზე კაპიტალი და ცოდნა უნდა შემოიტანონ.

საქართველოს პერსპექტივა სწორედ ამაშია, რადგან პატარა ქვეყანაა მცირერიცხოვანი მოსახლეობით. საქართველოს თავისი სიმცირიდან გამომდინარე, არ შეუძლია ინვესტიციები მხოლოდ ქართული გარემოსთვის მოიზიდოს. მან ინვესტიციები უნდა მოიზიდოს იმისთვის, რომ აქ ჩადებულმა ინვესტიციამ ეფექტი გარეთ უფრო დიდ ბაზარზე მოახდინოს. სწორედ ამისთვის არის საჭირო თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები დიდ ბაზრებთან, რომ საქართველოში შექმნილმა ინვესტიციამ ეფექტი სწორედ იმ დიდ ბაზარზე გამოიღოს.

ვთვლი, რომ მთავრობის ინიციატივა, რომელიც საერთაშორისო მსხვილი კორპორაციების მოზიდვის მიზნით, მათთვის საგადასახადო შეღავათის დაწესებას ეხება არასწორია, უმჯობესია ზოგადად ბიზნესკლიმატის გაუმჯობესება ისე, რომ ნებისმიერი კომპანია ადგილობრივიც და უცხოურიც თანაბარ მდგომარეობაში ოპერირებდნენ, იმისთვის, რომ საქართველოში დაფუძნდეს, აქ ჰქონდეს სათაო ოფისი და ხალხი დაასაქმოს, სერვისებს კი ქვეყნის გარეთ აწვდიდეს. ხელოვნურად ვერაფერს შევცვლით. საქართველოში განათლების დონის აწევას წლები დასჭირდება. რაც ახლა შეგვიძლია გავაკეთოთ, არის შემდეგი – შევქმნათ აქ ისეთი გარემო, რომ ქვეყანაში მოვიზიდოთ ჭკვიანი ადამიანები, ვისაც ბიზნესის წარმოების, მაღალტექნოლოგიური ცოდნის შემოტანის უნარი შესწევს. მოკლევადიან პერსპექტივაში ეკონომიკური ზრდის მისაღწევად ეს ყველაზე კარგი გამოსავალია. ჩვენ გვჭირდება არა მხოლოდ ეკონომიკის ზრდა, არამედ დიდი ხნის განმავლობაში ზრდა იმისთვის, რომ ეს მოსახლეობის კეთილდღეობაზე აისახოს.

ვფიქრობ, ქვეყნის მთავრობამ უნდა შეაფასოს უცხოური ინვესტიციების წახალისებასთან დაკავშირებული ყველა პოლიტიკური, სოციალური და გარემოს დაცვითი ეფექტები და განსაზღვროს რამდენად მისაღებია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით კაპიტალის ფასი.

ისევე როგორც, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, საქართველოშიც უნდა მოხდეს ინვესტორებისთვის რისკების დაზღვევა, რათა დაიცვას ისინი ისეთი რისკებისგან, როგორც არის ქონების ჩამორთმევა, კონტრაქტის დარღვევა, ვალუტის გადარიცხვასთან დაკავშირებული შეზღუდვები, ომი და სამოქალაქო არეულობა.

საქართველოს საფონდო ბირჟა (სსბ) 1999 წლიდან ფუნქციონირებს, მაგრამ 16 წელი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ განვითარებული, მაღალი ბრუნვის მქონე ბირჟა მიგვეღო. საფონდო ბაზრის განვითარებლობა კომპანიათა აქციებისა და კორპორაციული ობლიგაციების სიმცირითაა განპირობებული. ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზებია როგორც ემიტენტების (სააქციო საზოგადოებების) სიმცირე, ისე დანაზოგების მფლობელთა მხრიდან აღნიშნული ტიპის ფასიანი ქაღალდების არამიმზიდველობა. დანაზოგის მფლობელს ურჩევნია, ფული ბანკში შეინახოს დეპოზიტის სახით, ან სხვა აქტივში ჩადოს, მაგალითად – უძრავ ქონებაში. თავის მხრივ, საქართველოს მოსახლეობას აქციების შეძენის კულტურა არ გააჩნია. ამიტომ, საჭიროა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის საჭიროა გამჭვირვალობის მაღალი მოთხოვნები. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება კომპანიებისათვის არ იყოს დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული. ამ მხრივ, საჭიროა სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი სარეიტინგო კომპანიების განვითარების ხელშეწყობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი რეგიონი არ გამოირჩევა მაღალგანვითარებული საფონდო ბირჟებით, რაც დამატებით შანსს უჩენს საქართველოს, წარმატების შემთხვევაში, ადგილობრივი ბირჟა რეგიონულ დონეზე გაფართოვდეს და საქართველო ერთგვარ რეგიონულ ფინანსურ ცენტრად იქცეს.


გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ.გელაშვილი. „საინვესტიციო პოლიტიკა“ . თბილისი. 2012წ
2. პ.გაფრინდაშვილი, დ.ქუტიძე, თ.აბსანძე. ჟურნალი „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“ თბ. 2019
3. ე.ებელინგი. ჟურნალი -„Forbes Georgia” გვ. 80-86 თბ. 2018წ
4. მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები. თბ. გვ.11-13 . 2018
5. ე.კვანჭილაშვილი, ლ.ბლაგონრაგოვა - ჟურნალი„ Forbes Georgia” „ინვესტორი“ თბ. გვ.50-52.თბ. 2018წ
6. გ.კაჭარავა. მ.მეტრეველი. საქართველოს პარლამენტი. ჟურნალი „ეკონომიკური მიმოხილვა“ თბ. გვ .2;4 2018წ
7. ე.კაკულია. „ფინანსები და საინვესტიციო პოლიტიკა“. თბ. 2010.
8. მ. ნოზაძე. „ფინანსური ინვესტიციები“ .თბ. 2019
9. ჟურნალი „ეკონომიკა“- № 12 „მონოპოლიზმი და საქართველოს ეკონომიკა“. თბილისი. 2018წ
10. ჟურნალი „ეკონომიკა“- №4-5 „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების თეორიული ასპექტები“ . თბილისი. 2018წ
11. ა.სიჭინავა. „ინვესტიციები“. თბ. 2010 გვ. 118-127
12. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია გვ. 28; 37; 42;91; 96. თბ.2020
13. ლ.ქოქიაური. „უცხოური ინვესტიციები“ თბილისი. 2017წ
14. ლ.ქოქიაური. „საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა“ გვ. 628-632 2012 წ (ტ)II
15. შ. ქურდაძე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, 2016 #10 , გვ 69-79
16. ი.ყოლბაია. ჟურნალი „ეკონომიკა“- №1-2- „საინვესტიციო გარემო საქართველოში და სახელმწიფოს როლი მის სრულყოფაში“ გვ.6-14 თბ.2019


17. ვ. ჭარაია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის (საქართველოს მაგალითზე). ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, დისერტაცია 2015.
18. საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო)თბილისი, 2006წ 30 ივნისი . №3424-რს
19. საქართველოს კანონი ”საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“; თბილისი, 1996წ.12 ნოემბერი . №473_II ბოლო ცვლილება „მუხლი 12. მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე ქონებრივი უფლების მოპოვება 2018წ 04.05. N2277-III
20. მ.ხარაზიშვილი. ჟურნალი „ბიზნესი და მენეჯმენტი“ №1 . გვ.12-13.თბ 2019
21. ნ.ხადური. „საინვესტიციო გარემოს ფორმირების მაკროეკონომიკური და ინსტიტუციური ფაქტორები“. ჟურნალი-ეკონომიკა და ბიზნესი. თბ. 2011. #2. გვ. 79-88.
22. Cantwell, J. A. (1991). “The technological competence theory of international production and its implications”. In D. McFetridge (Ed.), Foreign investment, technology and economic growth. Toronto, Canada: University of Toronto Press
23. Campos, N. and Kinoshita, Y. (2003), Why Does FDI Go Where It Goes? New Evidence from the Transition Economies. IMF WP/03/228.
24. Dunning, J. The eclectic paradigm as an envelope for economic and business theories of MNE activity, International Business Review 9 (2000) 163-190
25. Narula, R. (1996). Multinational investment and economic structure: Globalisation and competitiveness. London: Routledge.
26. www.forbes.ge
27. www.anakliadevelopment.com
28. www.fund.ge
29. www.mof.ge;
30. www.geostat.ge;
31. www.nbg.gov.ge;
32. www.parliament.ge
33. www.matsne.gov.ge

34. www.bfm.ge; www.eugeorgia.info


დიაგრამა 1. რომელ საინვესტიციო ინსტრუმენტს იცნობს მოსახლეობა.



გრაფიკი 2. რომელი კომპანიის აქციებს შეიძენდა მოსახლეობა.




დიაგრამა 3. როგორ ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა, რატომაა მნიშვნელოვანი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნისთვის.




დიაგრამა 4. ადგილობრივი საინვესტიციო ფონდების საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობა.

105 responses




დიაგრამა 5. როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა აზრი საინვესტიციო საქმიანობის არსებობას საქართველოში?



დიაგრამა 6. რესპოდენტს შეეძლო განსხვავებული აზრის დაფიქსირება.

როგორ ფიქრობთ,რა ღონისძიებები უნდა გატარდეს საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად საქართველოში?


104 responses



დიაგრამა 7. როგორ ფიქრობთ, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად საქართველოში?

როგორ ფიქრობთ, რა უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ქვეყანაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ?

101 responses



დიაგრამა 8. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

